მაცნე
სამგრეჯიოს

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N25 (9312) 10 სექტემბერი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

ახალი პრემიერი, მთავრობის განახლებული შემადგენლობა

3

რა ერქმევა ქალაქის მთავარ ქუჩას

2

დაეცა, ჩაიცინეს, წამოდგა გაუცინეს !

4

სხდომა პოზიცია-ოპოზიციის კონსენსუსით

ზვიად გამსახურდია ძეგლის "ქებად და დიდებად ქართულისა ენისად" შესახებ
(რატომ "მდაბალი და დაწუნებული"?)

7

"ასე მგონია, სულში გვაქვს ქართველებს ღირიკა და იდეალიზმი"

სხდომა პოზიცია-ოპოზიციის კონსენსუსით

თეა ბაბუნაშვილი

სექტემბრის პირველ რიცხვებში გამართული მეტნაკლებად საქმიანი სხდომა საკრებულოს დარბაზში, რიგ საკითხებში პოზიცია-ოპოზიციის კონსესუსითაც კი დასრულდა. დღის წესრიგის გაცნობა-დამტკიცების შემდეგ ტრიბუნა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ვაჟა სტურუას დაეთმო. პირველივე საკითხად მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები განიხილეს, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული, თუმცა ოპოზიცია გაერთიანების კუთვნილი "გრეიდერის" ახლანდელი მდგომარეობით დაინტერესდა. იგი დაზიანებულია და ჯერ ისევ ვერ ხერხდება მისი შეკეთება. გარდა ამისა, ოპოზიციამ ქალაქის ცენტრში თითქმის წელიწადზე მეტია გაფუჭებულ შუქნიშანზეც გაამახვილა ყურადღება. უმრავლესობის წარმომადგენლებმა უმცირესობის პათოსი _ უბრალოდ სირცხვილია ამ დრომდე რომ ვერ ხდება მისი შეკეთება _ გაიზიარა.

უმრავლესობის დეპუტატმა ლიზა კრავეიშვილმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოთხოვნაზე, მობილური ტელეფონის შესაძენად საჭირო თანხის მოსაპოვებლად მათივე ბიუჯეტში ცვლილება შეეტანათ, ხმაურიანი პროტესტი გამოთქვა. "არ მაქვს მხედველობაში კონკრეტულად ეს შემთხვევა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. მობილური ტელეფონების შეძენაზე ბიუჯეტის თანხებით, არათუ თავი უნდა შევიკავოთ, საერთოდ უარი უნდა ვთქვათ." მის ამ განცხადებას როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის წარმომადგენლებმა დაუჭირეს მხარი. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ტატა გოგუაძემ განმარტა, რომ მობილური ტელეფონი გაფუჭებული ფოტოაპარატის ნაცვლად ჩატარებული ღონისძიებების დასასურათებლად სჭირდებოდათ და ამით გახლდათ გამოწვეული მისი შეძენის აუცილებლობა. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, შემოდგომისთვის კი მსგავს საკითხებზე კარგად დაფიქრებისკენ მოუწოდეს ერთმანეთსა და ცალკეულ ორგანიზაციებს. გარდა ამ თემებისა, საკრებულომ 2019 წლის ივლისის ბიუჯეტის შესრულების ანალიზიც მოისმინა.

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძემ მხოლოდ ერთი საკითხი გამოიტანა სხდომაზე. მასში საუბარი რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონებაზე გახლდათ. საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი ცვლილების გამო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 18 მარტის №38 49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო.

ბოლო რამდენიმე საკითხი იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ლიზა კრავეიშვილის მიერ იქნა გამოტანილი. განსაკუთრებული ვნებათაღელვა რესპუბლიკის ქუჩაზე სახელის გადარქმევას მოჰყვა. საკითხი საკმაოდ აქტუალურია და მასზე ჩვენი გაზეთის ამავე ნომერში ვრცლად გვექნება საუბარი. რესპუბლიკის ქუჩაზე სახელის გადარქმევისა და ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭება, მსჯელობის საგანი სამტრედიაში ბოლო ორი თვეა აქტიურად გახდა. რატომ დაიბლოკა იგი დედაქალაქში არსებული შესაბამისი კომისიის მიერ, გაუგებარია როგორც ოპოზიცის, ისე ხელისუფლებისთვის. ამ საკითხში ერთიანები ვართ და პრინციპულად მოვითხოვთ მის გადახედვასა და დასაბუთებული პასუხის გაცემას შესაბამისი კომისიისგან _ აღინიშნა საკრებულოს სხდომის ბოლოს.

რა ერქმევა ქალაქის მთავარ ქუჩას

თეა ბაბუნაშვილი

საკითხი, რომელშიც ოპოზიცია და ხელისუფლება ერთიანია, ქალაქის მთავარი ქუჩისთვის სახელის გადარქმევა გახდა. საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რესპუბლიკის ქუჩის დასახელების შეცვლისა და ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების თაობაზე, დედაქალაქიდან უარი ჩამოვიდა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გამართული სხდომის ყველა წევრმა, ანუ, იმ დღეს დამსწრე 9 წევრიდან ცხრავემ, უარი უთხრა სამტრედიის მუნიციპალიტეტს მოთხოვნაზე რესპუბლიკის ქუჩას ზვიად გამსახურდიას სახელი დარქმეოდა, იმ ქუჩას კი, რომელიც დღეს ზვიად გამსახურდიას სახელობისაა, ცხენისწყლის ქუჩის სახელი მინიჭებოდა. "გააანალიზეს რა დადგენილების მოთხოვნათა ჭრილში საკრებულოს მიერ წარმოდგენილი მასალა, კომისიის წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს ზემოთხსენებული ქუჩების სახელების გადარქმევის აუცილებლობა." _ ნათქვამია დოკუმენტში. დადგენილებად მიღებულია "არ გაიცეს სახელდების კომისიის დადებითი დასკვნა ქალაქ სამტრედიაში რესპუბლიკისა და ზვიად გამსახურდიას ქუჩებისათვის სახელების გადარქმევის თაობაზე."

ამ გადაწყვეტილებამ, არათუ ხმაური, საკრებულოს წევრების ვნებათაღელვაც კი გამოიწვია. მათი პროტესტის საგანი საკრებულოს გადაწყვეტილებაზე უარის "შებედვა" გახლდათ. ზოგიერთი იმის დაზუსტებას ცდილობდა, იყო თუ არა უფლებამოსილი სამინისტროს აღნიშნული კომისია საკრებულოს გადაწყვეტილებისთვის უარი ეთქვა.

ამ საკითხში თქვენს გვერდით ვართ, იქნებ ვინმეს გავლენებით მაინც მივაღწიოთ მიზანს" _ დახმარებას სთავაზობდა ოპოზიცია ხელისუფლებას. "ეს პრინციპული საკითხია და ამისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ!" _ გახლდათ უმრავლესობის შემართება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბადრი შენგელია, სხდომაზე განმარტებას აკეთებდა და აღნიშნავდა: "იმისთვის, რომ საკითხი თავიდან შევისწავლოთ და უფრო დახვეწილი და მომზადებული კვლავ გავაგზავნოთ შესაბაბის უწყებაში განსახილველად, საჭიროა ამჯერად უარი ვთქვათ ჩვენს მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე და მუშაობა თავიდან დავიწყოთ."

საქმე კი ისაა, რომ სამტრედიაში ცხენისწყლის ქუჩის ერთი მონაკვეთი მართლაც ატარებს ზვიად გამსახურდიას სახელს. მაგრამ ოფიციალური დოკუმენტაცია მასზე ამ სახელის მინიჭებისა, არ არსებობს. თუმცა, იქ მცხოვრებლებს დოკუმენტებში რეგისტრაციის მისამართი ზვიად გამსახურდიას ქუჩა უწერიათ. როგორც ბადრი შენგელია ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს: "მოთხოვნა იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას სახელი გადარქმეოდა ცხენისწყლის ქუჩის ამ მონაკვეთს და ქალაქის უფრო დიდი და თვალსაჩინო ქუჩას დარქმეოდა, გამსახურდიას ქუჩის მოსახლეობისგან მოდის. თავის მხრივ რესპუბლიკის ქუჩის მცხოვრებლებმა მოგვმართეს თხოვნით, ქალაქის ცენტრალური ქუჩისთვის გვეწოდებია ქვეყნის ამ დიდი პატრიოტის და ყოფილი პრეზიდენტის სახელი. ჩვენი გადაწყვეტილებაც ამით გახლდათ განპირობებული. თუმცა, ვფიქრობ ზემდგომ ინსტანციაში გადაგზავნისას საკითხს მეტი დასაბუთება სჭირდებოდა, გადაწყვეტილების მიღება ცოტა ნაჩქარევად, ლაფსუსებით, ჯეროვანი დასაბუთების გარეშე მოგვიწია. ასეთი შედეგიც იმიტომ მივიღეთ."

ერთი შეხედვით ძნელი დასაჯერებელია, რომ ზვიად გამსახურდიას ქუჩის მოსახლეობის ცოტა გასაკვირი მოთხოვნა საკუთარი სურვილით ვამბობთ უარს ჩვენი ქუჩა გამსახურდიას სახელს ატარებდესო, დაემთხვა რესპუბლიკის ქუჩის მოსახლეობის მოთხოვნას, რესპუბლიკის ქუჩაზე ცხოვრებაზე უარს ვამბობთო, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის ქუჩაზე მცხოვრებლების არცთუ მცირე, მეტიც, ძირითადმა ნაწილმა არაფერი იცოდა ამ მოთხოვნის შესახებ. ბუნებრივია, მათი უმრავლესობა წინააღმდეგი არ არის ამიერიდან ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე იცხოვრონ, უბრალოდ მათ ასე მასიურად არ იცოდნენ ამ მოთხოვნის შესახებ. თუმცა, საკრებულოში აცხადებენ, რომ გარდა წერილობით განცხადებისა, შესაბამისი ოქმებიც არსებობს მოსახლეობასთან შეხვედრებისა, რომლებზეც ისინი მოითხოვდნენ რესპუბლიკის ქუჩისთვის სახელის შეცვლას. რამდენად იქნება სახელის ცვლილება შესაბამის დოკუმენტაციაში დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული, სხვა საკითხია!

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური აკონკრეტებს: "რამდენიმე წლის წინ ეროვნული მოძრაობის ვეტერანთა მხრიდან ბატონი ჯონი ნადირაძის სახელით შემოვიდა განცხადება რესპუბლიკის ქუჩისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების თაობაზე. მაშინ მე გახლდით სახელდების კომისიის თავმჯდომარე. საკითხი განვიხილეთ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ამის გაკეთება. ამჯერად რესპუბლიკის ქუჩაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ მიმართა საკრებულოს იგივე მოთხოვნით. განცხადება 100 კაცის ხელმოწერით გახლავთ შემოსული. ამას დაერთო ომის ვეტერანთა საბჭოს იგივე ხასიათის მოთხოვნაც. ეს საკმარისი მიზეზი გახლდათ მოთხოვნა განხილულიყო, მით უმეტეს, კარგად ვიცით ვინ იყო ზვიად გამსახურდია და რამდენად დიდია მისი დამსახურება ქვეყნის წინაშე. ადგილობრივმა საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ინფრასტრუქტურის სამინისტროში არსებული შესაბამისი კომისიის უარის მიზეზად პატარა პროცედურული დარღვევა იქცა, ჩვენ ჯერ მოთხოვნა უნდა გაგვეგზავნა სახელდების სამთავრობო კომისიისთვის და მერე მიგვეღო გადაწყვეტილება. იმის გათვალისწინებით, რომ 26 მაისამდე გვინდოდა მოგვესწრო პროცედურების გავლა და 26 მაისს უკვე სახელის მინიჭება, პირდაპირ მიიღო საკრებულომ გადაწყვეტილება. ცოტა ვიჩქარეთ, ესაა და ეს უარის მიზეზი. საკითხზე მუშაობა, ბუნებრივია, კვლავ მიმდინარეობს."

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამტრედიაში დედის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედნად იწოდება. მიდის მუშაობა იმაზე, რომ აქ ზვიად გამსახურდიას ბიუსტი დაიდგას. გარდა ამისა, პოლიციის შენობის წინ არსებულ სკვერს პირველი რესპუბლიკის სახელი მიენიჭა და იქ მოეწყობა მემორიალი, იმ სამტრედიელების სახელის უკვდავსაყოფად, 100 წლის წინ პირველი რესპუბლიკის დაფუძნებაში რომ მიიღეს მონაწილეობა.

ერთი სიტყვით, იმისთვის რომ საკრებულომ თავიდან დაიწყოს მუშაობა რესპუბლიკის ქუჩისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხზე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჯეროვნად დასაბუთებული იყოს, უპირველესად მის მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რასაც საკრებულოს ბოლო სხდომაზე კენჭი უყარეს და დაეთანხმნენ კიდეც. როგორც ერთხმად აღნიშნეს, მუშაობა ამ პრინციპულ თემაზე უფრო საქმიანი მიდგომით კვლავ განახლდება.

ახალი პრემიერი, მთავრობის განახლებული შემადგენლობა

98 ხმით არც ერთის წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას პრემიერ-მინისტრ **გიორგი გახარიას** ხელმძღვანელობით ნდობა გამოუცხადა.

საკანონმდებლო ორგანოს ნდობა მოიპოვა აგრეთვე 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამამ.

მთავრობის განახლებულ შემადგენლობაში ორი ახალი მინისტრია. შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილი **ვახტანგ გომელაურმა** დაიკავა, ხოლო თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** გახდა. იტყობინება ***პრემიერ მინისტრის პრესსამსახური***

ხანძარი "ვისოლის" ბაზაზე

ნინო ნანიტაშვილი

ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე, ეგრეთ წოდებული ნაჩხატაურის მიმდებარედ, ნავთობბაზას ცეცხლი გაუჩნდა. 4 სექტემბრის დილით, დაახლოებით 7 საათზე, შეტყობინება შევიდა საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში. სამტრედიის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მეხანძრე-მაშველები შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ.

ნავთობბაზა სააქციო საზოგადოება "ვისოლის" საკუთრებაშია. ბაზაზე განთავსებულია დაახლოებით 32 000 ტონა საწვავი.

შემთხვევის ადგილზე მისულ მეხანძრე-მაშველებს მოუწიათ ჩაექროთ ნავთობით სავსე რეზერვუარზე გაჩენილი ცეცხლი, რომელიც ხანძრის ძირითად კერას წარმოადგენდა. არსებობდა ცეცხლის სხვა რეზერვუარებზე გადასვლის საშიშროება. ამას კი შეიძლებოდა აფეთქება მოჰყოლოდა. ეს უკანასკნელი გამოიწვევდა არა მარტო ქალაქ სამტრედიის, არამედ მიმდებარე დასახლებების განადგურებას.

შემთხვევის ადგილზე ხანძრის ჩასაქრობად პირველები სამტრედიისა და დიდი ჯიხაიშის სახანძრო-სამაშველო ბრიგადები მივიდნენ. მათი ოპერატიული გამოცხადებით ხანძარი უმოკლეს დროში იქნა ლოკალიზებული. ოპერატიულობას თან დაერთო მეხანძრე-მაშველების თავგანწირვა. მათ დროული და სწორი გადაწყვეტილებები მიიღეს და თავიანთი სიცოცხლის რისკის ფასად შეძლეს კატასტროფის თავიდან აშორება.

ინფორმაციის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე მივიდნენ მუნიციპალიტეტის მერი და მისი მოადგილე. ვალერიანე ფოცხვერიამ და დავით ბახტაძემ საკუთარი თვალით ნახეს შექმნილი მძიმე სიტუაცია. იკითხეს, ხომ არ იყო საჭირო მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან დამატებითი ღონისძიებების გატარება. მართალია, არ გახდა საჭირო, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასავლეთის რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტიდან ჩამოვიდა დასახმარებლად ბრიგადები. ადგილზე მოვიდა და სრულად იყო მობილიზებული საქართველოს რკინიგზის საგანგებო სიტუაციების მართვის დასავლეთის ცენტრის სამსახური, რომელმაც სპეცტექნიკის გამოყენებით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში.

სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით ხანძრის გამომწვევ მიზეზებზე გამოძიება მიმდინარეობს.

თანამედროვე გმირობის ნამდვილი მაგალითი უწოდეს ვალერიანე ფოცხვერიამ და დავით ბახტაძემ მეხანძრე-მაშველების მოქმედებას "ვისოლის" ბაზაზე: "გმირობის თანამედროვე თვალსაჩინო მაგალითი აჩვენეს მეხანძრე-მაშველებმა "ვისოლის" ბაზაზე გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოების დროს. მათი თავგანწირვისა და მაღალი პროფესიონალიზმის შედეგად სამტრედიის მუნიციპალიტეტი და მიმდებარე დასახლებები გადაურჩა საშინელ კატასტროფას. განსაკუთრებულად ვუხდი მადლობას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყველა თანამშრომელს, რომლებიც მონაწილეობდნენ სალიკვიდაციო სამუშაოებში. ასევე გვინდა მადლობა ვუთხრათ საქართველოს რკინიგზის საგანგებო სიტუაციების მართვის დასავლეთის ცენტრის მთელ შემადგენლობას."

სტიქია გაღმა ზონაში

თეა ბაბუნაშვილი

მარიამობის დღესასწაულს მაღალმთიანი, ე.წ. გაღმა ზონის მოსახლეობა უჩვეულოდ შეხვდა. წინა საღამოს მთებში მოვარდნილმა ნალექმა გორმაღლის, ნოღის, გამოჩინებულის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი მნიშვნელოვნად დააზარალა. ოჯახებში წყალი იმდენად მოულოდნელად შეუვარდათ და სახლების პირველი სართულები დატბორა, რომ გარიდება ბეწვზე მოასწრეს. როგორც ადგილობრივები ამბობენ, წყალსა და მეწყერს მიჩვეულ მაღალმთიან ზონაში, მსგავსი ნალექი ბოლო არაერთი წელია არ ყოფილა.

მუნიციპალიტეტის მერი ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ზურაბ გოგიასთან და ცალკეულ თემებში მერის წარმომადგენლებთან ერთად აღდგენით სამუშაოებს თავად ადევნებდა თვალყურს. დაზიანებულ გზებისა და ხიდ-ბოგირების აღდგენითი სამუშაოები მეორე დღესვე, ანუ 28 აგვისტოს დაიწყო. გაიწმინდა წმინდა გიორგის სახელობის ზანდოს მამათა მონასტრისკენ მიმავალი გზა, რომელიც ძალიან დაზიანებული, ფაქტობრივად, წაღებული გახლდათ. ამის გამო სადღესასწაულო წირვა მონასტერში ჩვეულებისამებრ ხალხმრავალი არ ყოფილა.

გზების გაწმენდით სამუშაოებს, რომელიც რელიეფისა და დაზიანებების გამო არცთუ მარტივი გახლდათ, მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახური ასრულებდა.

რაც შეეხება მოსახლეობაზე მიყენებულ ზარალს, მისი დათვლა ფაქტობრივად სტიქიიდან მეორე დღესვე დაიწყო. ყველა დაზარალებულ მოსახლეს შესაძლებლობის ფარგლებში ზარალი აუნაზღაურედება, თუმცა მუნიციპალიტეტის მერის სამართლიან შენიშვნას ადგილობრივები უყოყმანოდ დაეთანხმნენ: "ჭიშკრისა და ღობის წინ ყველა მოსახლეს არხი უნდა ჰქონდეს გაჭრილი, რომელიც ბოგირის ქვეშ გადის და ეზოებს წყლის შევარდნისგან დაიცავდა. რადგან ეს წყალგამტარი არხები ყველგან ამოვსებულია, წყალს გასასვლელი არ ჰქონდა და შემოვარდა კიდეც ეზოებში. ამ წყალგამტარი არხების გაჭრა და გასუფთავება სოფელში მოსახლეობამ თავად უნდა უზრუნველყოს, ადგილობრივები ამაში სახელმწიფოს დახმარებას არ უნდა ითხოვდნენ."

მოგვიანებით მაღალმთიან ზონას იმერეთში სახელწიფო რწმუნებულის მოადგილე ბესიკ გოფოძე ეწვია და მოსახლეობას გაესაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი სამუშაოები უკვე შესრულებულია, რწმუნებულის მოადგილე საჭიროების შემთხვევაში დახმარებას დაპპირდა ადგილობრივებს.

დაეცა, ჩაიცინეს, წამოდგა გაუცინეს!

პოეტ ვაჟა ხორნაულის ლექსიდანაა ეს სიტყვები, ერთმა გარემოებამ რომ გამახსენა.

სახელიმილიანმა მოირბინა ამ დღეებში ერთმა ნაცნობმა და მახარა იმ ადამიანის, განათლების სისტემის გამოცდილი ხელმძღვანელის სკოლიდან იმ მოტივით წასვლის შესახებ, რომ მან ვერ ჩააბარა პედაგოგთათვის დაწესებული თუ თავსმოხვეული (ამას დრო გამოარკვევს) სავალდებულო გამოცდები.

არა, ის არ გამკვირვებია ერთ დროს აქტიური კაცი რომ განერიდა სკოლას იმ ასაკში, როცა კიდევ ბევრ კეთილი საქმის კეთებას შეძლებდა, გამაოცა ჩემი ინფორმატორის შინაგანმა, დაუფარავმა სიხარულმა ამ ფაქტმა რომ გამოიწვია მასში. ეს მაშინ, როცა წლების მანძილზე სწორედ იმ კაცის ჩრდილქვეშ დადიოდა, ლოკომოტივივით ჰყავდა ჩაბმული იმ კაცს, ტრაბახობდა კიდეც მასთან ახლობლობით.

სიტყვა დაცემა ვახსენე ზემოთ, თუმცა არა, არ დაცემულა სკოლიდან წასვლით ის პიროვნება. მის მიერ სკოლაში გატარებული ერთი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ვიდრე მავანთა მრავალწლიანი "მოღვაწეობა".

მაინც რას დაუმსგავსებიხარ (ზნეობრივად) ცხოვრებას შენ, ჩემო ქალბატონო, ჩემს კითხვაზე, როგორ ხართ, ოჯახში რას შვებით თქო, ღიმილით რომ ჩამოაგალობე: ის, ეს და ის წავიდნენ სკოლიდან, გამოცდები ვერ ჩააბარეს, მეკი, დავრჩიო! ყოველგვარი ირონიის გარეშე, მთელი შეგნებით ვაღიარებ ნიჭსა და ნიჭიერებას, პატივს ვცემ ნიჭიერთ, მაგრამ ნუთუ მხოლოდ ერთი გამოცდაა მთელი ცხოვრება?

ვაი, რომ ზოგჯერ (უფრო სწორად ბევრჯერ) დაცემული ჯობია წამომდგარს.

ლევან გაბეჩავა

რას გვიპირებენ?

ამ კითხვით ამას წინათ მომმართა იმ ერთმა ნაცნობმა, რომელიც მართალია დასაქმებულია, თუმცა, სიმბოლური ხელფასით არათუ ოჯახის, საკუთარი თავის შენახვაც რომ გასჭირვებია.

ნუთუ მომავალ წელსაც ამ ხელფასით უნდა ვიარსებოთ? განაგრძო მოსაუბრემ.

მისი უდიდებულესობა შემოდგომა უკვე მობრძანდა, სადაცაა მომავალი წლის ბიუჯეტის ჰროექტზე დაიწყებენ მუშაობას შესაბამისი უწყებები, ორგანიზაციები, დაიწყებენ და...

ვაღიარებთ, ვიწონებთ იმ განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ და სარეაბილიტაციო სამუშაოებს მუნიციპალიტეტი რომ აქვს მოცული, მისასალმებელია ისიც, რომ მომავალი წლიდან პენსიების 20-ლარიანი მატებაა დაანონსებული, მაგრამ შპს, აიპი-ებში (ყოველ შემთხვევაში უმეტესგან) ხელფასები ლამის იმდენია, რამდენიც ახალი საფინანსო წლიდან პენსიები იქნება?! აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრგან ხელფასები პენსიებზე ნაკლებიცაა. კომენტარი ვფიქრობთ არაა საჭირო.

დამაინც, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ცხადია, რომ ფასებმა ყველაფერზე, დიახ, ყველაფერზე საგრძნობლად მოიმატა, ეროვნულმა ვალუტამ, ლარმა დიდი ხანია გაუფასურების რეკორდი მოხსნა და რაგინდ მწარე უნდა იყოს ჩვენი ეს განცხადება, სახელმწიფო უძლურია დაარეგულიროს ამ მხრივ ვითარება და ლარი გაამყაროს. ამ ფონზე კი, როცა ქვეყნიდან ინტენსიურად გაედინებიან ქართველები დედაწულიანად და ა. შ. ა. შ. ხელისუფლებამ დასაქმებულთა პირობების რამდენადმე გაუმჯობესებაზეც აუცილებლად უნდა იფიქროს და დაუსაქმებელთა, ანუ უმუშევართა დასაქმებაზეც.

არ იქნება გამართლებული არც ადამიანურად, არც მორალურად და არც იურიდიულად ჩვენს ამ მოკრძალებულ თხოვნაზე (და არა მოთხოვნაზე) ყავლგასული, მუქარის შემცველი პასუხ(ებ)ი _ ჩუმად მთლად უმუშევარი არ დაგვტოვონო, თქვენ მუშაობთ მაინცო და ა. შ.

ყოველ შემთხვევისთვის 1945 წელს შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, 1948 წელს მიღებული "ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის" ერთ-ერთ მუხლიდან ამონარიდს მოვიშველიებ, ნებისმიერი ადამიანის შრომის და ჯეროვანი არსებობის უფლებას და ადამიანთა თანასწორუფლებიანობას რომ ღაღადებს და არა მშვიდ, ღიმილიან ძალმომრეობას.

სათქმელი ვთქვით, მშვიდად, აუღელვებლად, მონიჭებული უფლებისა და კანონის ფარგლებში.

P. S.

საკუთარი ჯიბის ფულს არავის ვთხოვთ, იმ მზარდი ბიუჯეტის საფუძვლიანი განაწილებას ვითხოვთ, რომელზედაც ცენტრალური ხელისუფლება დიდი ხანია საუბრობს.

ლევან გაბეჩავა

იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა

გალილეის მეფე იროდმ ცოლად თავისი ძმის ფილიპეს ცოლი იროდიადა შეირთო, ასეთი უსჯულოებისა და უმსგავსობისათვის იოანე ამხილებდა მას. იროდმ იოანე საპყრობილეში ჩასვა. ამით არ დაკმაყოფილდა ბოროტი იროდიადა და ეძებდა შემთხვევას, როგორმე მოეკლა იოანე. იროდმ თავის დაბადების დღეზე დიდკაცობა მოიწვია და ლხინი გამართა, ლხინის დროს იროდიადას ასულმა იცეკვა, რითაც მეფესა და მის სტუმრებს ასიამოვნა.

მეფემ შეჰფიცა მას და უთხრა "მთხოვე რაც გინდა მოგცემ, თუ გინდა ჩემი სამეფოს ნახევარსო". ქალი დედის დარიგებით მივიდა ირودთან და უთხრა: "მომეც იოანე ნათლისმცემლის თავიო". შეწუხდა მეფე, მაგრამ მისთვის მატყუარა რომ არ დაეძახათ ფიცის გატეხვის გამო, ჯარისკაცს იოანეს თავის მოტანა უბრძანა. ჯარისკაცმაც არ დააყოვნა და თავი მოჰკვეთეს იოანეს.

ახალი სტილით 11 სექტემბერს (29 აგვისტოს ძველი სტილით) აღნიშნავს ეკლესია იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღეს (მძიმე მარხვაა ამ დღეს).

მოქმედ ტაძრებში შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება 11 სექტემბერს.

ლევან გაბეჩავა

სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას 4 სერტიფიცირებული მეთოდისტი ჰყავს

ნინო ნანიტაშვილი

ქუთაისის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში ბაგა-ბაღების მეთოდისტებისთვის პროფესიული ტრენინგ-მოდული ჩატარდა, რომელშიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელთა გაერთიანებაში შემავალი ბაგა-ბაღების 7 მეთოდისტი გადამზადდა. ტრენინგს ხელმძღვანელობდა ნათია კუხალეიშვილი.

ტრენინგის მიზანს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების გაცნობა წარმოადგენდა. ესენია: ფიზიკური და სენსორული განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება. შვიდი გადამზადებული მეთოდისტიდან ოთხმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები.

3 სექტემბერს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში დირექტორმა და მოადგილემ, ხათუნა გაგუამ და მარინა შენგელიამ, სერტიფიცირებულ მეთოდისტებთან შეხვედრა გამართეს და ტრენინგ-მოდულში წარმატებით მონაწილე მეთოდისტებს, მანანა გოდუაძეს, მარინა ბაღდავაძეს, ნანა-კორძაიასა და მარინა ღვინერიას, სერტიფიკატები გადასცეს.

ხათუნა გაგუამ და მარინა შენგელიამ გადამზადებულ მეთოდისტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და პროფესიულ საქმიანობაში წარმატება უსურვეს.

ტრენინგის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვეს მეთოდისტებმა. მათი შეფასებით, ეს იყო ძალიან ნაყოფიერი სწავლება, რომელიც გააუმჯობესებს სტანდარტის მიხედვით სწავლების ხარისხს და ხელს შეუწყობს ბავშვის ჰოლისტურ, ანუ მრავალმხრივ, განვითარებას.

სამტრედიელი გოგონები ასპროცენტიანი დაფინანსებით

ნათია ნაცვლიშვილი

"სამტრედიის მაცნეში" დამკვიდრებული ტრადიცია გრძელდება _

ყოველწლიურად ვიწვევთ იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგი აჩვენეს და მათთვის სასურველ უნივერსიტეტებში 100 პროცენტიანი დაფინანსება მოიპოვეს. გასულ წელს ამ რჩეულთა კატეგორიაში ვაჟებისა და გოგონების ბალანსი დაცული იყო, წლეულს კი, აშკარა მატრიარქატია. თუმცა, ვიმედოვნებთ, ყოველი მომდევნო წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებულად წარმატებული იქნება. მარიამ ჩახოიანცი, დაბლა გომის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია, ეთუნა კაცაძე _ სკოლა "ცოდნის", ხოლო, ნინი კვეტენაძემ მეოთხე საჯარო სკოლა დაამთავრა.

მაშ ასე, მოვისმინოთ მათი შთაბეჭდილებები:

მარიამ ჩახოიანცი:

_ ტექნიკური სფერო ბავშვობიდან მიტაცებდა, ამიტომაც სკოლაში კარგად ვსწავლობდი ტექნიკურ საგნებს და დიდ ყურადღებას ვაქცევდი, ამ საგნებზე კონცენტრირებაში დამეხმარნენ ჩემი სკოლის პედაგოგები, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.

ჩემს მცირეოდენ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს პედაგოგებმა ნინო სტურუამ, მურთაზ კალძემ, ელზა ხუჭუამ და ვერიკო ნიკურაძემ. მათი დახმარებით და წყალობით ჩავაბარე თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე, პირველივე ეს ფაკულტეტი მქონდა მითითებული. მომხდარმა მოლოდინს მართლაც გადააჭარბა, თვალებს არ დავუჯერე, როცა ვნახე, ჩემი გრაფის გასწვრივ ეწერა, რომ 100 პროცენტიანი დაფინანსება მოვიპოვე!

ლამის "აფეთქდა" სოციალური ქსელი და ჩემი მობილური ტელეფონი, უამრავი მეგობარი და ახლობელი მილოცავს და ეს მოლოცვები ჩემზე ძალიან დადებითად მოქმედებს.

_ დღეს ძალიან ძნელად ირჩევენ პედაგოგის პროფესიას, როგორ დაუშვით ეს გამონაკლისი?

_ ბავშვებთან ურთიერთობა თავიდანვე მომწონდა, როგორც უკვე ვთქვი, მყავდნენ საუკეთესო პედაგოგები, რომელთაც შემაყვარეს ეს საგანი. ჩვენს სახელმწიფოს რომ ვემსახუროთ და განათლებული თაობები აღვზარდოთ, ამაზე დიდი საქმე რა არის? პროფესიის არჩევას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დედა პროფესიით ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგია.

_ უახლოესი გეგმები შეგიძლიათ გაგვიმხილოთ?

_ წარმატებით დავასრულო უნივერსიტეტი და ჩავაბარო მაგისტრატურაზე.

სხვას ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ! მინდა უცხოეთში სწავლის გაგრძელება, თუმცა, ეს უკვე შორი გეგმებია...

ნინი კვეტენაძე, მეოთხე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხა მედიცინის ფაკულტეტზე. **ნინი კვეტენაძე:**

_ პირველ რიგში ეს მიღწეული შედეგი არის საკუთარი შრომის დაფასება და უდიდესი მოტივაცია საიმისოდ, რომ მომავალში საკუთარ თავს კიდევ მეტი მოვთხოვო. ბავშვობაში ყოველთვის ვფიქრობდი, რა პროფესია ამერჩია ისეთი, ადამიანების დახმარება რომ შემძლებოდა და ამიტომაც იმთავითვე ვიცოდი, ექიმობა ჩემი ერთადერთი არჩევანი იქნებოდა! თავიდავე კარდიოლოგობა მსურდა, მერე ბევრჯერ შევიცვალე არჩევანი, ამჯერად ნევროლოგობა მომწონს, თუმცა ჯერ კიდევ არ მიმიღია საბოლოო გადაწყვეტილება, მაინც ალბათ იმას ავირჩევ, რაშიც უფრო დიდ კვალიფიკაციას გამოვავლენ.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მასწავლებლებს, ირმა აკოფოვას, რუსო კალოიანს, ვერიკო ნიკურაძეს და მურთაზ კალაძეს, რომლებმაც თავდაუზოგავად იშრომეს იმისთვის, რომ ამ შედეგისთვის მიმეღწია. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა ჩემი სკოლის ყველა პედაგოგს. მშობლების თანადგომა რომ არა, ნამდვილად ვერ შევძლებდი ამდენს, ისინი არამარტო მორალურად, ფინანსურადაც გვერდით მედგნენ და ის ფსიქოლოგიური წნეხი, რაც აბიტურიენტობის პერიოდში მქონდა, მათ დამაძლევინეს.

ამავე უნივერსიტეტის ამავე ფაკულტეტის სტუდენტი გახდა წლეულს სკოლა "ცოდნის" კურსდამთავრებული, **ეთუნა კაცაძე**:

_ ამ ფაკულტეტზე სრული დაფინანსებით მოწყობა იყო თავდაპირველად ჩემთვის ოცნება, რომელიც თანდათანობით მიზნად ვაქციე, თავი არ დამიშურებია, ენერგია არ დამიზოგავს და ძალიან ბევრი ვიშრომე, რომ ამ მიზნისათვის მიმეღწია. მეცხრე კლასში გადავწყვიტე ექიმი ვყოფილავი, მსურდა ადამიანებს დავხმარებოდი, სკოლაში კარგად ვსწავლობდი ფიზიკას, ქიმიასა და ბიოლოგიას. იმ პროფესიის არჩევა მინდოდა, რომელშიც ყველაზე კარგად გამოვავლენდი საკუთარ შესაძლებლობებს. სხვათა შორის, დედა მაკა ჩაკვეტაძე ექიმი პედიატრია, ის ამ პროფესიის სირთულეებზე მესაუბრებოდა და წინასწარ მაცნობდა იმ რისკებს, რაც ამ პროფესიას ახლავს თან. ეს ჩემი მყარი გადწყვეტილება აღარ შემიცვლია და ოჯახიდანაც უდიდესი თანადგომა ვიგრძენი.

_ შედეგის ნაზვით მოგვრილი ემოცია როგორი იყო?

_ ნახევარი საათი დავრბოდი, ვყვიროდი და ვტიროდი. სიზმარს ჰგავდა, თითქოს. ახლობელთა მილოცვები დღემდე არ წყდება. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ჩემს გულშემატკივარს. ჩემს წარმატებაში უდიდესი როლი შეასრულა უპირველეს ყოვლისა, სკოლა "ცოდნამ", შემდეგ კი, პედაგოგებმა: მურთაზ კალძემ, მზია კირთაძემ, ირმა აკოფოვამ, ვერიკო ნიკურაძემ და თამარ შენგელიამ. როგორც ხედავთ, 5 საგანი ჩავაბარე.

ვიმედოვნებ, მომავალში შევძლებ ვასახელო ჩემი ქალაქი და ქვეყანა.

გვარის რჩეულები _ ანასტასია და დუტა ქართველიშვილები

ნინო ნანიტაშვილი

და-ძმა, ანასტასია და დუტა ქართველიშვილები, წელს სკოლაში ისევ ერთად, ხელიხელჩაკიდებულები მივიდოდნენ, ერთი ძალიან კარგი ამბავი რომ არ მომხდარიყო. ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში ანასტასია სწავლას მე-12 კლასში გააგრძელებს, მეათეკლასელი ძმიკო კი თბილისში მიემგზავრება, რადგან სწორედ უფროსი დის რჩევით დუტამ გამოცდები ჩააბარა ქალაქ თბილისის კომაროვის სახელობის №199 სკოლა-პანსიონში და 49 კონკურსანტს შორის გაიმარჯვა. წელს ჩარიცხული 9 წარმატებული მოსწავლიდან დუტა ქართველიშვილი თავისი შედეგებით ოფიციალურად პირველ ადგილზე გავიდა.

დუტა დაინტერესებულია სპორტით, დადის ცურვაზე, გარკვეული მიღწევები ჰქონდა ფეხბურთში, თუმცა მისი მთავარი ინტერესი მაინც ზოგადი განათლების მიღებაა. განსაკუთრებულად კი თავის თავს ტექნიკური საგნების მიმართულებით ხედავს. შეყვარებულია ფიზიკასა და მათემატიკაზე, რითაც გამორჩეულია თავისი თანატოლებისაგან.

მთავარი ავტორიტეტი დუტასათვის უფროსი დაა, ანასტასია, რომელმაც მშობლიური სკოლა ზედიზედ რამდენჯერმე ასახელა. მისი მიღწევები ასე გამოიყურება: IYNT 2017 (Nanjing China) _ ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო ტურნირი _ ბრინჯაოს მედალი, მე-3 ადგილი; ჟაუტიკოვის საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში, პროგრამირებასა და ფიზიკაში. ეს უკანასკნელი ჩატარდა ასტანაში, ყაზახეთში. IYNT 2018 _ ახალგაზრდა ნატურალისტთა საერთაშორისო ტურნირი, ბრინჯაოს მედალი. ჟაუტიკოვის საერთაშორისო ოლიმპიადა 2019 ალმა-ათაში _ საპატიო სიგელი. გარდა ამისა, ანასტასია და დუტა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის წარმატებული მონაწილეები არიან ფიზიკასა და უცხო ენებში. ისინი ინგლისურს ისე ფლობენ, როგორც მშობლიურ ენას.

ანასტასიასა და დუტას მშობლები სამტრედიელი, პროფესიით ექიმი-მანუალოთერაპევტი ამირან ქართველიშვილი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, თამარ სვანიძე არიან. სასახელო ძმისშვილებით ამაყობს მამიდა, პედაგოგი მარინე ქართველიშვილი, რომელმაც "სამტრედიის მატიანეში" ვრცელი წერილი გამოაქვეყნა. ავტორი მკითხველს თავისი გვარის რჩეულ ადამიანებზე მოუთხრობდა. მამიდა ამაყად წერდა ქართველიშვილების პატარა რჩეულ ქალბატონზე, ანასტასია ქართველიშვილზე, რომელსაც ნიჭიერების გამო სპეციალისტები დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ.

ანასტასიასა და დუტას მომავალში თავისუფალ უნივერსიტეტში სურთ სწავლის გაგრძელება, რაშიც ხელს არაფერი შეუშლით.

მოთხოვნა _ ბაღებმა კოლეგიურობა დაიცვან

3 სექტემბერს სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოწვევით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედი ბაგა-ბაღების მმართველების თათბირი ჩატარდა. ხათუნა გაგუამ ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა თანამშრომლებს და მათ ნაყოფიერი, წარმატებული საქმიანობა უსურვა. გაერთიანების დირექტორი შეეხო იმ სიახლეებს, რომლებიც 2019-2020 სასწავლო წლის განმავლობაში უნდა დაინერგოს, იქვე ერთობლივად შეიმუშავეს შესასრულებელი დავალებები და მიიღეს გადაწყვეტილება, აღსაზრდელებს განსაკუთრებულად მომზადებული შეხვდნენ.

ხათუნა გაგუამ ყურადღება მიაქცია ბავშვთა რეგისტრაციას და მმართველებს დაავალა, აღსაზრდელები საბავშვო ბაღებში ტერიტორიის მიხედვით მიიღონ და სხვა ბაღებთან მიმართებით დაიცვან კოლეგიურობა. გაერთიანების დირექტორმა ყურადღება გაამახვილა თანამშრომლების გამოცხადებაზე და მმართველებს გაფრთხილება მისცა, მაქსიმალურად აკონტროლონ თანამშრომელთა წასვლა-მოსვლის გრაფიკი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოცდასამივე ბაგა-ბაღში 3 სექტემბრიდან დაიწყო ბაღების დეზინფექცია-დერატიზაცია: სუფთავდება ეზოები, შენობები, ირეცხება ჭურჭელი და მზეურდება საძინებლის ქვეშაგები. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ თითოეულ ბაღს ჰიგიენური საშუალებები მიაწოდინა, ასევე _ საღებავები.

ნინო ნანიტაშვილი

ვისაც ლიტერატურა უყვარს

“ასე მგონია, სულში გვაქვს ქართველებს ლირიკა და იდეალიზმი”

ნათია ნაცვლიშვილი

კახა ნადირაძესთან “სამტრედიის მაცნე” ვალშია. ბატონმა კახამ სამტრედიელებისათვის შექმნა სრულიად საინტერესო პლატფორმა _ ვებგვერდი “სამტრედიის მაცნეს” მკითხველთა კლუბი. წიგნი და წიგნიერება კი ის თემაა, რომელზე სასაუბროდაც სიამოვნებით მოვიწვიეთ იგი ჩვენს რუბრიკაში “ვისაც ლიტერატურა უყვარს”.

_ მოგვიყევით თქვენს შესახებ... წლების წინ გავაშუქე თქვენს მიერ წარმოდგენილი მუნიციპალური ბიუჯეტის კვლევის ანგარიში. შეხვედრას არასამთავრობო სექტორის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. მახსოვს, შეგიქეს კომპეტენციაც და მოხსენებაც, თქვენს ფეისბუქგვერდზე ამ ამბის შემდეგ თქვენი ლექსები გამოჩნდა. როგორც ჩანს, ტექნიკურთან ერთად ჰუმანიტარული ნიჭითაც დაუჯილდოვებიხართ ღმერთს...

_ დიახ, თქვენს მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ დღეისთვის არცთუ ისე პოპულარულ სამოქალაქო სექტორში ვმუშაობ, ერთ-ერთი ადგილობრივი საზოგადოებრივი (ე.წ.) არასამთავრობო ორგანიზაციის თანადამფუძნებელი გახლავართ რამდენიმე მეგობართან ერთად. ჩვენ ვახორციელებთ საჯარო ფინანსების მონიტორინგს სამტრედიის მუნიციპალიტეტში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულების კვლევას.

ამასთანავე მე-12 წელია, ვმუშაობ შპს “ საქართველოს რკინიგზის” დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს სამტრედიის რეგიონში. ორი წელი კი ვიმუშავე სოფელ წიაღუბნის საჯარო სკოლის სამოქალაქო გაანთლების პედაგოგად. ვარ სერტიფიცირებული მასწავლებელი.

ვცდილობ, რომ მცირედი კვალი ყველა ხელმისაწვდომ სფეროში დავტოვო ჩემს ირგვლივ. მათ შორის _ პოეზიაშიც, მორიდებულად, მაგრამ მაინც ვწერ ბავშვობიდან. ერთხანს, თითქოს დავასრულე და ამოვწურე ჩემი სათქმელი, მაგრამ მგონია, რომ ახლა მეორე ეტაპი დგას.

_ თქვენი პოსტებიდან ჩანს, რომ კარგად იცნობთ თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს, რას გვეტყვით თქვენს საყვარელ ქართველ თუ უცხოელ მწერლებზე?

_ მე ვერაფერს ვიტყვი იმ ქართველ მწერლებზე, რომლებიც არ მიყვარს, ან თითქოს არ უნდა წაიკითხოს ვინმემ. ყველა მწერლისგან რაღაცის სწავლაა შესაძლებელი. მადლობა ღმერთს, რომ დღევანდელი ამერიკული მწერლობის ტრადიციები ჯერ არ გავრცელებულა ჩვენში, არაფრისმთქმელი ტექსტებისა და ამბების მოდა. (ყველა მწერალს არ ეხება). მხოლოდ ამერიკელ მეზღაპრეებს, “ მებესტსელერებს” ვგულისხმობ, ასევე, მკითხველს, კლასიკურ ქართულ ლიტერატურას რომ არ იცნობს, არ ვურჩევდი 70-იანი წითელი რეჟიმის დაკვეთით შექმნილი პროპაგანდისტული ნაწარმოებების წაკითხვას დასაწყისში.

უცხოელი მწერლებიდან, უპირობოდ პირველ ადგილზე დავაყენებდი შტეფან ცვაიგს.!

_ პოეზია რომ გიყვართ, ესეც საცნაურია თქვენი ფეისბუქმეგობრებისათვის, მაინც როგორ განმარტავდით პოეზიის არსს? თითქოს ჩვენს დროში, როცა ცხოვრება მაღალ მატერიებზე ფიქრის დროს გვართმევს, პოეზია დაიჩაგრა. თქვენს გარშემო რამდენ ადამიანს იცნობთ, არათუ თვითონ წაიკითხოს ლექსები, არამედ სხვისი წაკითხულის მოსმენა შესძლოს?

_ ჩვენში პოეზიის გაცნობას, ბავშვობიდანვე იწყებს ადამიანი. მოგეხსენებათ, პოეზია არ არის იმდენად ყოფითი თემატიკის ლექსები, (მაგალითად “ვაშლი და შაქარა”) ან ბალადები და პოემები, რომელსაც სასკოლო პროგრამაში ვხვდებით, პოეზიას უფრო ლირიკას ვუწოდებთ. აი, ლირიკის შესწავლა უკვე იწყება მაღალ კლასებში, როცა უკვე მოზარდს შექმნილი აქვს საკუთარი აზრი პოეზიაზე და პოეტებზე. იცნობს რამდენიმე სახუმარო და დამცინავ ფოლკლორულ “კაფიას”...

ყველაფერი ეს იმიტომ ვთქვი, რომ მიმაჩნია, _ ჩვენი საზოგადოება არასერიოზულად უდგება ლექსს: ერთადერთი საზომი აქვთ ჩვენში “შენც გალაკტიონი არ მყავდეო”, გეტყვიან, თითქოს და, გალაკტიონის შემოქმედებას კი იცნობდნენ და აღიქვამდნენ, ყოველივე ამის მიზეზი, ზევით უკვე ვთქვით.

თუმცა ინტერესი მაინც არის, არის ჩვენი ეროვნული გენეტიკით განპირობებული. ასე მგონია, სულში გვაქვს ქართველებს ლექსი, ლირიკა და იდეალიზმი... ამის გამო, მრავალ შემთხვევაში, გულუბრყვილო ერადაც კი აღვიქმებით მსოფლიოს თვალში, პოეტური სულის გამო არარეალურად ვაფასებთ მოვლენებს, იდეალიზმის გამო, _ ბევრიც დაგვიყარგავს ალბათ მატერიალურად, მაგრამ ეს გვინარჩუნებს მთავარ არამატერიალურ განძს: რწმენას, სასოებას და სიყვარულს... დაე, ვიყოთ პოეტური ერი, დაე, ჩვენი მომავალი თაობები აღვზარდოთ პოეზიით და თუნდაც სიმდიდრე ვერ დავაგროვოთ, მაინც სულიერად უძლეველნი ვიყოთ.

პოეზიის არსის ვრცელი განმარტება გამოვიდა, მაგრამ რეალური მაგალითებით ვისაუბრებ მასზე.

_ საყვარელ პოეტებზე რას გვეტყვით? საყვარელი სტროფები გაიხსენეთ...

_ პოეტების მიმართ ტენდენციური ვარ, შესაძლოა, დიდებული შემოქმედი იყოს კაცი, მაგრამ თუ მისი საზოგადოებრივი საქმიანობაც ასეთივე დიდებული არ არის და არაეროვნულია, რბილად რომ ვთქვათ, არაფრად მიღირს მისი შემოქმედება. შესაძლოა, ეს არასწორი პოზიციაა, მაგრამ ქართველი პოეტის არსი სრულიად განსაზღვრა ილიამ თავის ლექსში: “პოეტი”. მაინც ვახსენებ რამდენიმე დიდებულ პოეტს, რომლებიც ზეციურ საქართველოში ასულან უკვე: მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი, იოსებ გრიშაშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე, გიორგი ლეონიძე... კიდევ რამდენი.. ხუთ კორიფეზე არაფერს ვამბობ! უცხოელი პოეტებიდან, ყველაზე დიდ საზრდოს, ალბათ, რაბინდრანათ თაგორისგან თუ მიიღებ კაცი.

_ გქონიათ თუ არა ბედნიერება, შეხვედროდით რომელიმე თანამედროვე მწერალს ან პოეტს? გვიამბეთ ფასდაუდებელი შეხვედრების შესახებ...

_ დიახ, ეს იყო სასწაული, იმიტომ, რომ ცოცხალ პოეტს პირველად შევხვდი. 2006-ში, სტუდენტობისას. საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებაში მაგიდაზე მიდევს “ლიტერატურული საქართველოს” საარქივო ნომრების შეკვრა, მაინტერესებდა ამ გაზეთის და ქართველ შემოქმედთა პოზიციები ეროვნული მოძრაობის წინა წლებში (1987-89 წლები). რა იწერებოდა, რას ამბობდნენ, ...მოულოდნელად, უხმო ნაბიჯით მომიახლოვდა და თავზე წამომადგა შუა ხანს გადაცილებული კაცი, “წერ?”- მეკითხება, ავხედე და, “ცოტას” ვუპასუხე. “მივხვდი, ისე ამას არავინ წაიკითხავს”. _ გაზეთზე მიმითითა.

_ ქუთაისელი ხარ?

_ არა, სამტრედიიდან, ავითრიე წელი.

_ ჰოოო, სამტრედიაში მიდი ჩემს მეგობართან, გრიგოლ ჯულუხიძესთან და შენი ლექსები მიუტანე, უთხარი, ზაალმა გამომგზავნა ებანოიძემთქო...

შევპირდი მისვლას და არ მივედი ბატონ გრიგოლთან. დავკარგე კიდევ ერთი ჩემთვის საყვარელი შემოქმედის გაცნობის საშუალება. ეს იყო რაღაც ძალიან უცნაური შოკი. ლექსიც მაქვს: “პირველი შეხვედრა პოეტთან” (ზაალ ებანოიძეს ეძღვნება).

_ თქვენი ბიბლიოთეკა მრავალრიცხოვანია?

_ სამწუხაროდ, ბევრი წიგნის შეძენა ვერ მოვასწარი, ბავშვობიდან ბატონი ჯონი ნადირაძის ბიბლიოთეკით გამქონდა თავი. ჩვენ სოფელში ყველაზე გემოვნებიანი და დიდი ბიბლიოთეკა ამ ოჯახს ჰქონდა. მისი დედა, ქალბატონი რუსუდანი (შინაურულად რუსიკო ბებიას ვეძახდით) დიდებული მრჩეველი იყო წიგნის შერჩევისას. ნათელში ამყოფოს ღმერთმა. მას შეეძლო, ასაკისა და ინტელექტის შესაბამისი წიგნი შეერჩია ჩემთვის. ერთხელ, მეცხრეკლასელმა წამოვიღე ფრიდრიხ ჰეგელის ერთ-ერთი ტომი, რაზეც მითხრა: ბებო, ადრეა შენთვის ჯერ ესო! ჩავუჯექი, ბევრი ვღეჭე ტექსტი, ძალიანაც გულიანად მივადექი, მაგრამ არაფერი გამომივიდა ჰეგელთან. დავაბრუნე მესამე დღეს ეს წიგნი და ჩემი უხერხულობის გასაქარწყლებლად მითხრა, იმას, რაც ვერ გაიგე, სამი-ოთხი წლის მერე დაუბრუნდი და გაიგებო.

ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს უკვე ელექტრონული ფორმით ვრცელდება უსაზღვრო რაოდენობის ლიტერატურა. ამას ორმაგი შედეგი აქვს: კარგია იმ მხრივ, რომ წიგნის ხელმისაწვდომობა გაიზარდა და ცუდია იმ თვალსაზრისით, რომ ზოგჯერ საფრთხე ექმნება საავტორო უფლებების დაცვასა და ავტორის ეკონომიკურ, ისედაც მცირე სარგებლის მიღების უზრუნველყოფას.

_ წიგნებს გჩუქნიან? ჩუქნით?

_ წიგნის ჩუქებას, როგორც აქტს ჩემთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ეს არის ჩემთვის წმინდად სიმბოლური ქმედება, ეს არის ვერთქმული სათქმელისა ან რჩევა-დარიგების ნაცვლად განხორციელებული ქცევა. აი, დაახლოებით ისეთი, წმინდა ხატს რომ ვჩუქნით ადამიანს. ...თუ შეჭირვებულია და მისი ბარაქისთვის ვლოცულობთ_ , ღვთისმშობლის ბარაქის ხატს” ვჩუქნით... დაახლოებით ასეთი დატვირთვა აქვს ჩემთვის წიგნის მიღებასაც და ვინმესთვის ჩუქებასაც. დამეთანხმებით _ რთული შესარჩევია ასეთ შემთხვევაში...

_ როგორც პედაგოგი, თანამედროვე მწერლებიდან რომლის წაკითხვას ურჩევდით უფროსკლასელებს?

_ ძალიან ფრთხილი ვიქნებოდი ამ შემთხვევაში. ადამიანი უნდა ითვალისწინებდე ახალგაზრდების შინაგან სულიერ პროცესებს, ამა თუ იმ წიგნის ზეგავლენას მათზე. მარტივად და სწორად რომ ვუპასუხო ამ შეკითხვას, ალბათ ვეტყოდი მათ, რომ უფრო კლასიკოსები წაიკითხონ. ის ნაწარმოებები, რომლებმაც ათასი კრიტიკის ქარცეცხლს გაუძლეს, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს ნერგავენ მკითხველში. ამის შემდეგ, განმტკიცებული ინტელექტით, ნებისმიერი თანამედროვე მწერლის შემოქმედებას ადექვატურად აღიქვამს მკითხველი. იგი, უკვე გემოვნებადახვეწილი, აღარც მიიღებს ახლადშექმნილ შესაძლო მდარე ტექსტს.

_ თქვენი ლექსის მუზა ჯიუტია თუ ადვილად დამყოლი? ამ ლექსებს შორის ყველაზე საყვარელი რომელი ლექსია?

_ ჯიუტია, დაწერა სულ შემიძლია, კაფიაობაც, ექსპრომტიც დიდი არაფერი ვირტუოზობაა, მაგრამ ისეთის დაწერა, მერე დახევა, (სმარტფონში წერის შემთხვევაში წაშლა) რომ არ მომინდეს, მეძნელება. შეიძლება დავამთავრო მუშაობა ლექსზე და წლების შემდეგ რაღაცის შეცვლა ჩავთვალო მასში საჭიროდ. არის ლექსები, რომლებიც არსებული ტექსტით არასდროს გამოქვეყნდება და გადასაყრელადაც მენანება, ყველაზე მეტად გამომხატავს ერთი ერთსტროფიანი ლექსი:

“მე მელოდე, როცა დიდი თოვლი მოვა,

არ გეგონოს _ დავივიწყო პირობა:

როცა უკვე მობეზრდება ყველას თოვა,

დავბრუნდები ზეცის სანაპიროდან”_ ვცადე ამ ლექსის გაგრძელების დაწერაც, მაგრამ არაფერი მიება მას.

_ სამაგიდო, ანუ წიგნთა წიგნი გაქვთ?

_ პოეტურ ნაწარმოებებში “წიგნთა წიგნად” დავით წინასწარმეტყველის “ფსალმუნნი” მიმაჩნია. მასში ყველაფერია, რაც ბიბლიაში წერია და რაც არ წერია, ისიც.

_ როგორც მურმან ლებანიძე იტყოდა, საკანში რომელ წიგნს შეიტანდით? “რომ გადაშალო საკანში და ზღვა ახმაურდეს, მაინც რომელ წიგნს, თუ კაცი ხარ, თუ ძმა ხარ, რომელს?”

_ საკანში სწორედ “ფსალმუნნი” არ მომბეზრდება, ეტელ ლილიან ვოინიჩის “კრაზანა” და “შოთა ნიშნიანიძის პოეზია”, ამათთან ვარ ყველაზე ახლოს.

_ ვის უზიარებთ წაკითხული საყვარელი ნაწარმოების შესახებ აზრს? ვისთან მსჯელობთ და გაქვთ ლიტერატურული დებატები?

_ საოჯახო წრის გარდა, (ისინი დისკუსიებში არ მომყვებიან), ხშირად ვწერ ახალგაზრდა კარგ პოეტს _ თემო ჭახნაკიას. თუმცა, ჩვენც იდენტური მოსაზრებები გვაქვს უმეტესწილად. მიმოწერაც _ მშვიდი. კრიტიკის მახვილი ერთი კარგად ვერ ავლესე, ვერ მივიცალე ამისათვის, რომ რაიმე ღირებული და სასარგებლო კრიტიკა, ან თუნდაც რეცენზია დამეწერა. არადა საქართველოში ამის აუცილებელი საჭიროება არის.

_ თქვენთვის მისაბაძი წიგნიერი ადამიანები დაგვისახელეთ ჩვენს ქალაქში...

_ ტენდენციური არ ვიქნები და თუნდაც ვიყო, მეპატიება, რადგან ძალიან ახლოს ვიცნობ ბატონ ჯონი ნადირაძეს და ვიცი მისი მოსაზრება მრავალ საკითხზე. ასევე, მაღალინტელექტუალურ კაცად მიმაჩნია მამა ანტონი (ვაშაკიძე). უამრავ საფუძვლიანად განათლებულ ადამიანს ვიცნობ მუნიციპალიტეტის მერიაში, საკრებულოში, აქ უეჭველად უნდა ვახსენო დიდი პატივისცემით ბატონი ნუგზარ ჯამბურია, სამტრედიის განათლების სისტემაში, რკინიგზის ორგანიზაციაში და რა თქმა უნდა, ჩვენს “სამტრედიის მაცნეში” განსაკუთრებულად წიგნიერი ადამიანების დისლოკაციის ადგილია. ზოგადად, ჩვენი მუნიციპალიტეტის IQ ძალიან მაღალია, თუ სხვა რაიონებს და რეგიონებს მივედარებით.

_ რას ურჩევთ მომავალ თაობას, რატომ უნდა იკითხონ?

_ ყველას მოგვეხსენება, რომ არსებობს ასეთი ცნება: _ “საღი აზრი”. ეს ისეთი აზრია, რომელიც ნებისმიერ მოცემულ სიტუაციაში ერთადერთ და სწორ პოზიციას განსაზღვრავს ადამიანში. მიუხედავად იმისა, სიტუაცია პირადია, საოჯახოა, საქვეყნო-პოლიტიკურია თუ თუნდაც კოსმოსის საკითხებზეა. _ ჩვენ გვჭირდება ერთადერთი სწორი გადწყვეტილების მიღება, ერთადერთი სწორი პოზიციის დაჭერა, ერთადერთი “საღი აზრი” რომელსაც ჩვენში წარმოშობს სწორედ _ წიგნიერება, განუწყვეტელი კითხვა.

ზვიად გამსახურდია ძეგლის "ქებად და დიდებად ქართულისა ენისად" შესახებ (რატომ "მდაბალი და დაწუნებული"?)

შოთა ჯაჯავა

ტექსტი, რომელიც დღეს ცნობილია სახელით "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" და რომლის ავტორი თუ გადამწერია მე-10 საუკუნის ქართველი მწიგნობარი იოვანე-ზოსიმე, პირველად სამეცნიერო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 1858 წელს მარი ბროსეს ფრანგული თარგმანით (*ბროსე 1858 : 279-280*).

1888 წელს გამოქვეყნდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, ალექსანდრე ცაგარლის, სინის მთაზე, იერუსალიმსა და ათონის მთაზე 1883 წლის მოგზაურობისა და მუშაობის ანგარიში. ალ. ცაგარელმა სინის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგი შეადგინა და აღწერილობაში "ქებაჲს" სრული ტექსტი მოათავსა (*ცაგარელი 1888 : 203*).

1959 წელს აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით გამოიცა უძველესი თარიღიანი (864 წ.) ქართული ხელნაწერი "სინური მრავალთავი". პუბლიკაციაში მრავალთავზე დართული "ქებაჲს" ტექსტის ქარაგმები გახსნილია:

"დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰცლენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ. და მეგობრობაჲ ამისთჳს თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს, და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს თქუა დავით წინაწარმეტყველმან, რამეთუ: წელი ათასი ვითარცა ერთი დღჱ. და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჱსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღჱ და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთჳს მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მისისაჲთა.

და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა. და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტჱს სხუათა ენათა ქრისტჱს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ, ასი ესე წილი ანბანისაჲ" (*შანიძე 1959 : 283*).

ძეგლის შესახებ არა ერთი და ორი ჰიპოთეზა ბევრ ქართველ მეცნიერს გამოუთქვამს; გამოიცა კრებული, რომელიც "ქებაჲს" ტექსტოლოგიურ-სემანტიკური ანალიზის საკითხებს შეეხება; დაწერილია სტატიები, ესეები და ა. შ. ამჯერად ჩვენ ვისაუბრებთ ზვიად გამსახურდიას იმ ფილოლოგიური დაკვირვებების შესახებ, რომლებიც თავმოყრილია გამოკვლევაში "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" (*გამსახურდია 1991 : 3-45*).

პირველ ყოვლისა, უნდა ვთქვათ, თუ რა მიზანდასახულობა აქვს მკვლევარს, რადგან ძეგლის განხილვა შესაძლებელია სხვადასხვა მხრივ. მაგალითად, ინტერესის საგანი შესაძლოა იყოს საკუთრივ შინაარსის პლანი (შინაარსი გამოხატულია ორგვარი სიმბოლიკით: "ერთია ქრისტიანულ მწერლობაში მოხსენიებული პერსონაჟები _ ლაზარე, ნინო, ელენე, მარიამ, მართა, დავით და მათე. მეორეა რიცხვები, რომელთაც საკრალური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული _ ოთხი, ერთი, ათასი, ოთხი ათასი, ოთხმოცდათოთხმეტი და ასი." (*ბაქრაძე 1977 : 6*) ან ის, თუ რა ვითარებამ განაპირობა ამ ალეგორიული ტექსტის დაწერა. მართალია, ზვიად გამსახურდია ყურადღებას აქცევს "ქებაჲს" შექმნის მოტივს და საკუთარ ინტერპრეტაცია-ვარაუდსაც გვთავაზობს, მაგრამ მისი არგუმენტაცია ძირითადად უკავშირდება დაფარული მთავარსათქმელის გაშიფვრას. ის ძეგლს ესქატოლოგიური მისტიკის თვალსაზრისით აფასებს, როგორც იოანეს სახარებისა და აპოკალიფსის კომენტარს, ეგზეგეზას.



ხელნაწერი Sin. 32-57-33, 275 r, 864 წ. ("ქებაჲს" ტექსტი სინურ მრავალთავში ჩართულია 981 წელს იოვანე-ზოსიმეს მიერ).

ნაშრომი დაყოფილია ქვეთავებად (1. "ფილოლოგიური პრობლემები", 2. "ოთხისა დღისა მკუდარი", 3. "ქებაჲ და ენათმეცნიერულ-ეთნოლოგიური მონაცემები"). თითოეულ მათგანში მკვლევარი დაწვრილებით აანალიზებს კონკრეტული სიტყვის, ფრაზის მნიშვნელობას. ზოგჯერ იგი გვაძლევს იმ სახის განმარტებას, როგორიც სხვა ავტორების მიერ არ არის საგანგებოდ აღნიშნული. მაგალითად, აკაკი ბაქრაძე წერს: "ქებაჲს" პირველი სტრიქონი აზრობრივად ნათელია. ამდენად არც კომენტარებს საჭიროებს" (*ბაქრაძე 1977 :7*), ხოლო ზვიად გამსახურდია ხაზგასმით მიუთითებს: "ტრადიციული წაკითხვა ძეგლის ტექსტისა გვაყენებს დიდი სიძნელის წინაშე. გავიხსენოთ პირველივე წინადადება: "დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა, საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა". ამ სიტყვებს და, კერძოდ, სიტყვა "ენას" იგებენ მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე მნიშვნელობით. სინამდვილეში, საკმარისია ღრმად ჩავუკვირდეთ წინადადების შინაარსს და ნათელი გახდება ამგვარი ინტერპრეტაციის ცალმხრივობა, ვინაიდან "ენა" ძველ ქართულში, ისევე როგორც სხვა ძველ ენებში, მხოლოდ ენას კი არ ნიშნავდა, არამედ **ხალხს**, **ეროვნებას**, **მოდგმას**" (*გამსახურდია 1991 : 3*).

საინტერესოა ერთი მომენტი. ძეგლში ვკითხულობთ: "და ესე ენაჲ... მდაბალი და დაწუნებული". ეს ეპიზოდი, პავლე ინგოროყვას აზრით, ასახავს პესიმიზმს ქართული ენის მდგომარეობის გამო (*ინგოროყვა 1939 : 139*). ზვიად გამსახურდია კი სიტყვებს "მდაბალი და დაწუნებული" შემდეგნაირად განმარტავს: "რა იგულისხმება ქართული მოდგმისა და ენის სიკვდილში, დამდაბლება-დაწუნებაში? რამდენადაც იაფეტური წინარეენა ქურუმთა, ანუ მოგვთა ენა იყო, რომლითაც ისინი სულიერ არსებებს და ტოტემებს უკავშირდებოდნენ, მას იმთავითვე საკრალური, მისტერიალური ხასიათი და დანიშნულება ჰქონდა, ხოლო იაფეტიდები, პროტოქართველები (იგივე პროტოევროპელები და პროტოარიელები) წარმოადგენდნენ რელიგიურ ელიტას კაცობრიობისას, სულიერი ცხოვრების ლიდერებს, უნივერსალურ კულტურტრეგერებს, რაც იოანე ზოსიმესეული გაგებით, უნდა ყოფილიყო ნამდვილი სიცოცხლე ამ მოდგმისა და მისი საკრალური ენისა, რაც გრძელდება უხსოვარი დროიდან ძვ. წ. III ათასწლეულის, ანუ კალი იუგას დასაწყისამდე. III ათასწლეულიდან კი იწყება ამ მოდგმისა და მისი საკრალური ენის პროფანირების, აღრევის, დამდაბლება-დაწუნების პერიოდი, რაც გამოიწვია კაცობრიობის მატერიაში ჩაძირვამ, ინდოევროპელთა მოძალებამ, ისტორიულმა ბედუკულმართობამ. ამავე პერიოდში პროტოქართული მოდგმა იწყებს რიცხობრივად შემცირებას, რასაც სიმბოლურად განასახიერებს ნიობეს შვილების დახოცვა (ნიობე იაფეტური მოდგმის დედაა), იწყება იაფეტური მისტერიების დეკადანსი, რის გამოც ეს მისტერიები ალაგ-ალაგ არაკანონზომიერიც ხდება, ხოლო ერთიანი ფუძე-ენა განიცდის დიფერენცირებას ენებად და ენაკავებად, რაც გაგრძელებაა ბაბილონის გოდლის დაცემის შემდგომი ენათა აღრევის პროცესისა" (*გამსახურდია 1991 : 35-36*).

მართალია, დამოწმებულ ჰიპოთეზას ზვიად გამსახურდია აყენებს პროტოქართული მოდგმის შესახებ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, რომელსაც ავითარებს ნაშრომში "საქართველოს სულიერი მისსია" (გამსახურდია 1990), თუმცა ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ შეფასება "მდაბალი და დაწუნებული" გამოწვეული იყო არა "კაცობრიობის მატერიაში ჩაძირვისა და ინდოევროპელთა მოძალების გამო დაწყებული საკრალური ენის პროფანირებით", არამედ ბერძენთაგან ქართველთა მიმართ ხანგრძლივი მეტოქეობით, რომლის გამოც ქართულს უჭირდა "ბარბაროსული ენის" ბერძნული იარლიყის მოშორება (*ბოედერი 1998; ბოლქვაძე 2007; დობორჯგინიძე 2009*). შუა საუკუნეებში ბერძნულის, როგორც წმინდა ენის (Lingua sacra), აღმოსავლეთის ნაციონალურ ენებთან ურთიერთობის გათვალისწინება "ქებაჲს" ტექსტის მიხედვით ქართული ენის სპეციფიკური სარწმუნოებრივი კონსეკრაციის (წმიდაყოფის), ასევე მისი დაწუნებულობის მიზეზის გამორკვევის გარდა, გარკვეულწილად ხსნის, თუ რა კულტურულმა, პოლიტიკურმა და რელიგიურმა კონტექსტმა გამოიწვია, საზოგადოდ, მსგავსი ხასიათის ტექსტის შექმნის საჭიროება (*დობორჯგინიძე 2007*).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების საფუძველი აღმოსავლური ქრისტიანული ტრადიციაა, რომლის მიხედვით ღვთის წინაშე ყველა ენა თანასწორია, განსხვავებით დასავლური ქრისტიანული ტრადიციისაგან, რომელიც ებრაულს, ბერძნულსა და ლათინურს მიიჩნევდა წმინდა ენებად. აღმოსავლური ქრისტიანობა ასაზრდოებდა კოპტებს, გოთებს, სირიელებს, სომხებს, ქართველებს, მოგვიანებით _ სლავებს, აგრეთვე _ სპარსეთისა და არაბეთის ქრისტიანებს. მიუხედავად ენათა თანასწორობის აღიარებისა, აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა ენებს უჭირდა კონკურენციის გაწევა ბერძნულისათვის, რადგან ბიზანტია ყოველნაირად უშლიდა ხელს მათ დაკანონებას. მაგრამ ამ ენებმა მაინც დაიმკვიდრეს ადგილი ბიზანტიის ნების საწინააღმდეგოდ. ეროვნული ლიტურგიისათვის ბრძოლა ზემოთ დასახელებულმა ხალხებმა ეროვნული კულტურისა და, საერთოდ, ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლად გადააქციეს (*ბოლქვაძე 2007 : 105*).

როგორც ანტიკურობისა და მედიევისტიკის გრამატოლოგიის მკვლევარი ნინო დობორჯგინიძე მიუთითებს: "შუა საუკუნეებში ეს პროცესი დასრულდა ქართული ენის ორმაგი ლეგიტიმაციით: ერთი მხრივ, პოლიტიკური ლეგიტიმაცია ნაციონალური ისტორიის რეკონსტრუქციით (ლეონტი მროველი) და, მეორე მხრივ, რელიგიური ლეგიტიმაცია ე. წ. "წმინდა ისტორიაში" ქართულისათვის "ღირსეული" ადგილის გამოძებნით (იოვანე ზოსიმე)" (*დობორჯგინიძე 2009 : 24-25*).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბაქრაძე 1977: აკაკი ბაქრაძე, კრიტიკული გულანი, თბილისი, 1977

ბოედერი 1998: ვინფრიდ ბოედერი, ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში, *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, VII, თბილისი, 1998, გვ. 60-81

ბოლქვაძე 2007: თინათინ ბოლქვაძე, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების პოლიტიკურ-კულტურული კონტექსტი, *ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა*, პირველი კრებული, თბილისი, 2007, გვ. 105-118

ბროსე 1858: Marie-Félicité Brosset, Notice sur un manuscrit Géorgien de la Bibliothèque Impériale publique, provenant de M. Tischendorf, *Mélanges Asiatiques*, T. III, Saint-Pétersbourg, 1858

გამსახურდია 1990: ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისსია, თბილისი, 1990

გამსახურდია 1991: ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბილისი, 1991

დობორჯგინიძე 2007: ნინო დობორჯგინიძე, "ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" ქრისტიანული აღმოსავლეთის სახოტბო პოეზიის კონტექსტში, *სემიოტიკა*, I, თბილისი, 2007, გვ. 92-100

დობორჯგინიძე 2009: ნინო დობორჯგინიძე, ქართული ენის ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაციის საკითხები შუა საუკუნეებში, *წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული*, №1, თბილისი, 2009, გვ. 13-29

ინგოროყვა 1939: პავლე ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, *მნათობი*, № 9, თბილისი, 1939, გვ. 97-141

შანიძე 1959: აკაკი შანიძე, სინური მრავალთავი *864 წლისა*, თბილისი, 1959

ცაგარელი 1888: Александр А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, *Православный Палестинский сборник*, Т. IV, Вып. 1(10), Санкт-Петербург, 1888

მეცამეტე სკოლის დირექტორი

ლევან გაბეჩავა

უდიდესი აღმავლობით, ფართო მასშტაბით აღინიშნა საქართველოში, სამტრედიაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და პირველი რესპუბლიკის, დედაუნივერსიტეტის საუკუნოვანი იუბილე. გაიხსენეს ადამიანები, ის ღვაწლმოსილი სამტრედიელები, იმთავითვე რომ ჩაებნენ ამ საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინებისათვის წარმოებულ, თავიანთი სიცოცხლისათვის სარისკო ბრძოლაში.

არაერთი ლონისძიება, კონფერენცია, შეხვედრა მიეძღვნა სამტრედიის მუნიციპალიტეტშიც ხსენებულ მოვლენებს, თუმცა, რატომღაც არსად არ გაჟღერებულა იმ კაცის გვარ-სახელი, კომუნისტური რეჟიმის შემდეგ, ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალი გზა რომ გაგვიწალდა და სვლა გაგიადვილა.

ამიერკავკასიის რკინიგზის ყოფილ XIII საშუალო სკოლის დირექტორზე, ბატონ ბადრი ტონიაზე მოგახსენებთ.

შეგნებულად არაფერს ვამბობთ ქრონოლოგიური სიზუსტით მის მიერ განვლილ კარიერულ ლაბირინთებზე. ერთი კი უდაოდ უნდა აღინიშნოს, ის ყველგან პირველი, ანუ მართალი იყო.

პირველი იყო საქართველოს მასშტაბით, რომელმაც "გაგანია სოციალიზმისას" მის მიერ რწმუნებულ სკოლაში სამლოცველო კაბინეტი გახსნა და რისკის წინაშე დააყენა საკუთარი კარიერა. სიტყვა არ (ვერ) უთხრეს ღვთიური საქმის მკეთებელ მადლიან კაცს.

ცრუიდეოლოგიის კრახს რელიგიური აღმასვლა მოჰყვა, აქაც პირველი და ერთადერთი აღმოჩნდა ბადრი ტონია, ვინც რაიონული გაზეთის მეშვეობით მოსწავლე ახალგაზრდობას, საზოგადოებას მივიწყებული, ან სულაც უცნობი ღვთის მცნებებით, რელიგიური ცხოვრების ანი და ჰოეთი კვებავდა, წერილებით, საგაზეთო პუბლიკაციებით მოძღვრავდა. ყოველივე იქნებ გადამეტებით ნათქვამი ეჩვენოს მავანს, მაშინ ვურჩევ გასული საუკუნის 90იანი წლების მეორე ნახევრის ადგილობრივი გაზეთის ნომრები იხილონ და თავად დარწმუნდნენ ყველაფერში.

"ლოცვა სწავლის წინ", "დილის ლოცვანი", "რა არის მარხვა?", "როგორ უნდა იცხოვროს ქრისტიანმა"... მცირეზე მცირე ნაწილია ეს სათაურები ბატონი ბადრის მიერ რელიგიურ თემატიკაზე გამოქვეყნებული წერილებისა. ერთ-ერთ ნომერში ერთ გვერდზე მოსწავლეთათვის შეთავაზებული გკვეთილების საკვირაო განრიგის (ცხრილის) ფურცელიცაა დასტამბული. უფლისადმი ლოცვითა და კვირის დღეების ძველქართული სახელწოდებებითურთ. (საოცარი მიგნებაა). თუმცა რა საკვირველია, მისი ავტორი ხომ ქვეყნის მასშტაბით ცნობილი XIII სკოლის ლეგენდარული დირექტორი გახლდათ, რომელსაც უმაღლესი განათლება პატარა კახის _ დიდი ერეკლეს სამკვიდრო ქალაქ თელავში ჰქონდა მიღებული და რომელმაც სამ ათეულ წელზე მეტი იღვაწა ისტორიოსთა რაიონული საზოგადოების თავმჯდომარედ. მხოლოდ იმ ამბის გახსენება რად ღირს, უწმინდურთა "წყალობით" ხან სარკინიგზო ბაქნის ატრიბუტად, ხან კიდევ რად გამოყენებულ საეკლესიო ზარებს რომ დარაჯობდა და ბოლოს და ბოლოს ისევ დედაეკლესიას დაუბრუნა. ვისაც არ წაუკითხავს, ვურჩევთ გაეცნოს ბატონი ბადრი ტონიას საოცრად მოკრძალებულ პოეტურ მარგალიტებს და კიდევ ერთ საყურადღებო წერილს, გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) სამტრედიაში (ილორში) მოგზაურობას რომ ეხმიანება.

ერთი დეტალიც, ბატონი ბადრი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც იმდენად ხშირად წერდა გაზეთში რომ აუცილებელი გახდა, წერილები ფსევდონიმებით გამოქვეყნებულიყო. ასე რომ, ვინც უკვე ისტორიადქცეულ გაზეთის ნომრებს გაეცნობა და რელიგიურ თემატიკაზე ბ. ეგრისელის, ტ. ბადრიძის ავტორობით იხილავს მასალას, უნდა იცოდნენ, რომ მათი ავტორი ბადრი ტონიაა.

...

თვითდაბეგვრის გადასახადი, იყო ასეთი ვალდებულება ჩემი ბავშვობისას სახელმწიფოს წინაშე, რომლის ასაკრებადაც ოჯახებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, საბჭოებიდან შესაბამისი კადრები დადიოდნენ. მელაურის საბჭოს შემადგენლობაში გახლდათ მაშინ ჩემი უბანი.

ღმერთმა გაახაროს ტონია გზაზე ხრეში რომ დაგვიყარაო, იტყოდა ბებიას მიერ სახელდახელოდ გაწყობილ მაგიდასთან საუბარში საბჭოდან მოვლინებული ქალბატონი. მოგვიანებით მითხრეს ოჯახის წევრებმა, რომ ის ტონია ბატონი ბადრი ბრძანებულა. წლების განმავლობაში მელაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ რომ უმუშავია.

გაცნობით კი ბატონმა ანზორ გრიგოლიამ გამაცნო, აღიარებული XIII სკოლის აღიარებული დირექტორიაო. იმ ანზორ გრიგოლიამ დაუმსახურებლად არავის რომ არ შეაქებდა და უმიზეზოდ აუვს ვერავისზე რომ ვერ დასცდენდით.

ამჯერად შეგნებულად არაფერს ვამბობთ იმ წარმატებებზე, რომლებსაც რკინიგზის XIII საშუალო სკოლა აღწევდა ბატონი ბადრის თავკაცობით. ეს სკოლა ხომ არათუ საქართველოში, ყოფილ საბჭოეთშიც ცნობილი იყო.

"ისე უნდა იცხოვრო, შენი გარდაცვალება სიკვდილს რომ არ დაემსგავსოსო", გვმოძღვრავს ეჟი ლეცი. ბევრნი წასულან და არავის მოუგონებია ახლობლების გარდა. ბატონი ბადრი და მის მიერ ნაკეთები კეთილი საქმეები კი არაერთხელ გაუხსენებიათ საგაზეთო პუბლიკაციებით ღვაწლმოსილ პედაგოგებს, ქალბატონებს გულნარა გიორგაძეს, ზაიდა კუკულავას და არა მარტო მათ.

"ღვთის ათი მცნება სწერია, ჩემს ბებერ გულის ფიცარზე", _ წერს ერთ ლექსში ბატონი ბადრი, სწორედ ღვთისადმი მსახურების, უფლის ათი მცნებისადმი ერთგულების გამოხატულება იყო მისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრება.

85 წლისა გახდებოდა წელს ბატონი ბადრი. 10 წელია, რაც უპრეტენზიოდ განერიდა საწუთროს, თუმცა სულიერად ისევ აქ ჩვენთანაა.

ნათელში იყოს.

კრწანისის სევდა

"11 სექტემბერი საქართველოს ისტორიას გლოვის გვირგვინად ადგას, რომლის სევდა თაობებს მოჰყვებოდა; როგორც გმირობისა და უმაგალითო თავგანწირვის აპოთეოზი.

1795 წლის 11 სექტემბერს თბილისში დამპყრობთა ხელით ათი ათასობით ქართველი გაწყდა, უმრავლესობა _ ბავშვები, ქალები და მოხუცები. მსოფლიომ ამის შესახებ არაფერი იცის, სამაგიეროდ იცის 2001 წლის 11 სექტემბერი, როცა ამერიკაში ტყუპი ცათამბჯენი ააფეთქეს.

...200 წელზე მეტია იწვიან ქართველი გმირების სისხლით ფესვატირებული ყაყაჩოები კრწანისის ველზე!

200 წელია 300 არაგველის გმირობა ხატად და სანთლად უნთია საქართველოს!

200 წელია რაც ქართველთა სიმამაცის სიმბოლო _ პატარა კახის ხმალი, სვეტიცხოველში მცველად ადგას დამაშვრალი პატრონის ცხედარს! 200 წელზე მეტია საქართველო კრწანისის სევდას ინახავს! მსოფლიომ კი არ იცის, რა სევდა ჩაბუდებულა კრწანისის ველზე. ჩვენც მსოფლიოს ნაწილი ვართ, მაგრამ ის კი უნდა ვიცოდეთ, რომ უცხოთა პატივის მიგება საკუთრის დავიწყებას არ ნიშნავს."

წერს ერთგან ბატონი ზვიად სეხნიაშვილი.

სრული ჭეშმარიტებაა, ჩვენ ქართველები და საქართველოც ხომ ნაწილი ვართ მსოფლიოსი და მსოფლიოს არა მარტო ჩვენი კულტურა, ტრადიციები, ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები უნდა გავაცნოთ.

200 წელზე მეტი გავიდა 11 სექტემბრის ქართული ტრაგედიიდან, თუმცა დღესაც პირშეუკრავ ჭრილობად ამჩნია ყოველთა ქართველთა ხსოვნას საქართველოს სატახტო ქალაქში დატრიალებული უბედურება.

...

გვახსოვს 11 სექტემბერი 2001 წლისა, როცა პლანეტა შეძრა ამერიკაში განხორციელებულმა, ერთ-ერთმა ფართომასშტაბიანმა ტერაქტმა, რომელსაც ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

სამწუხაროა, თუმცა რეალობას ვერსად გავექცევით და უნდა ითქვას, რომ ტერაქტებისაგან თავისუფალი და მოსვენებული არც ოცდამეერთე საუკუნის პირველი ოცეულის მიწურულსაა მსოფლიო.

საქართველო მტკიცედ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, წამყვან სახელმწიფოებთან ტერორიზმისა და ძალადობის წინააღმდეგ წარმოებულ ფართომასშტაბიან ოპერაციებში. ქართველი სამხედროების საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ფართო ჩართულობაა ამისი ნათელი დადასტურება და გამოხატულება.

რაკიღა ტერაქტებზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით 15 წლის წინ ბესლანში მომხდარ ტერაქტს, როცა ტერორისტთა სამიზნე უდანაშაულო ბავშვები, ადამიანები გახდნენ. 334 ადამიანი ემსხვერპლა 15 წლის წინ 1 სექტემბერს ბესლანის ტრაგედიას.

ქართველი ერი ხმას უერთებს მშვიდობისმოყვარე ხალხის გულისთქმას, გმობს ყოველგვარ ძალადობას, აგრესიას, ძალმომრეობას, დისკრიმინაციას და იმ დროს შეჰნატრიან, როცა პლანეტაზე ძმობა, მშვიდობა და მეგობრობა იზეიმებს.

ლევან გაბეჩავა

კაშიების გვარის შესახებ

მემატიანე აღნიშნავს, რომ გვარი *კაშია* მოდის XVI საუკუნიდან, 1567 წლიდან. იმ დროისთვის გვარს მიენიჭა ყველაზე სანდოს ტიტული. ისინი არიან ყველაზე ერთგულნი, ვისაც ოდესმე შეხვდები. ამ გვარის ადამიანების ყოლა კურთხევად ითვლებოდა, საიმედონი და მართალნი, ისინი ყოველთვის თქვენთან იქნებიან, როდესაც დაგჭირდებათ.

ჩვენი გვარი ძირითადად სოფელ ბაშიდან არის. საქართველოს რომელ კუთხეშიც უნდა მოხვდეთ, მათი წინაპრები აუცილებლად არიან ამ ისტორიული სოფლიდან, სადაც ამჟამად ცხოვრობს 200-ზე მეტი სული.

2014 წელს საქართველოში მცხოვრები ყველა კაშია შევიკრიბეთ მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ მოხდა ჩვენი გვარის კურთხევა. შემდეგ დაიწერა საგვარეულო ხატი, რომელიც ამჟამად დაბრძანებულია ბაშში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, სადაც წირვას აღავლენს მამა იოანე (კოხრეიძე).

მცხეთაში შეკრებაზე გადაწყდა, რომ ყოველ წელს გაიმართოს ჩვენი შეხვედრა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით. ტრადიცია დღესაც გრძელდება. შეკრების მონაწილეებმა ერთხმად ამირჩიეს საგვარეულოს პრეზიდენტად, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი ამჟამად ამერიკაში მცხოვრები ლავროსი კაშიაა, რომლის წინაპრები ჩვენი სოფლიდან იყვნენ.

აქვე გთავაზობთ ლექსს კაშიებზე:

ქართულ გვარ-სახელებში
ლაზური გვარი კაშია
ისეთი უძველესია,
როგორიც ცივილიზაცია.
ადგილი, სადაც პირველად
თვითმფრინავით დაჯდა კაშია
(იგულისხმება კოპიტნარის აეროპორტი),
ისტორიაში ცნობილი
ძველი სოფელი ბაშია.
კაშიებს დღესაც ნათელი
იდეები გვაქვს თავშია,
ამის ნათელი დასტური
ვართ მე და ჯანრი კაშია
(ჯანრი კაშია _ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის აწ გარდაცვლილი მეუღლე).

ავთანდილ კაშია
კაშიების საგვარეულოს პრეზიდენტი
6 სექტემბერი, 2019 წელი
ქალაქი სამტრედია

გიორგი ზაქარიაძე _ "სამტრედიელი ბაში-აჩუკი"

ნინო ნანიტაშვილი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანდაკში ქართულ ჭიდაობაში ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად კასპის ადგილობრივი უძლიერესი მოჭიდავეები იღებდნენ მონაწილეობას. შეჯიბრი ჩატარდა როგორც წონით, ასევე _ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. ტურნირის მთავარი პრიზი და აბსოლუტური ფალავნობა მოიპოვა მძიმეწონოსანმა გიორგი ზაქარიაძემ. მას მეტსახელად "სამტრედიელი ბაში-აჩუკი" უწოდეს.

19 აგვისტოს ბახმაროში გამართულ ფერისცვალების ტრადიციულ დღესასწაულზე სპორტის სხვა სახეობებთან ერთად ქართული ჭიდაობაც მიმდინარეობდა. სამტრედია აქაც ასახელეს ფალავნებმა: პირველი, მეორე, მესამე ადგილები სწორედ სამტრედიელმა მოჭიდავეებმა გაინაწილეს. ჩემპიონი გახდა ავთანდილ კუტალაძე, რომელიც ქართული ჭიდაობის ტრადიციების შესაბამისად ჭედილათი და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ ბახმაროში შეჯიბრებას მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე.

12 და 13 სექტემბერს ქალაქ თბილისში სტარტს აიღებს არჩილ ჩოხელის "ა კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში. ამ შეჯიბრზე 25 ქვეყნის სამბისტები იქნებიან წარმოდგენილნი.

საქართველოს ღირსებას დაიცავენ: 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს მრავალგზის პრიზიორი ავთანდილ კუტალაძე; მძიმე წონით კატეგორიაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი, მძიმეწონოსანი გიორგი ზაქარიაძე.

ამ ინფორმაციებით "სამტრედიის მაცნეს" დაუკავშირდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში. ავთანდილ თარგამაძე არჩილ ჩოხელის სახელობის ტურნირს უძლიერეს სპორტულ ღონისძიებას უწოდებს: "ეს ტურნირი "ა" კატეგორიისა გახლავთ. მისი გამარჯვებულები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის უფლებას იპოვებენ. მასში მხოლოდ ეროვნული ნაკრების წევრები ჭიდაობენ. გიორგი ზაქარიაძეს წარსულში არაერთხელ ვუსახელებივართ აღნიშნულ შეჯიბრზე. მინდა, იმედი გამოვთქვა, რომ ამჯერადაც ჩვენი სპორტსმენები ღირსეულად იასპარეზებენ და ჭიდაობა სამბოს გულშემატკივრებს გაახარებენ".

სახელმწიფო რწმუნებულის თასის გათამაშება დასრულდა

ნინო ნანიტაშვილი

იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის თასის გათამაშების საფინალო შეხვედრა მინი-ფეხბურთში 7 სექტემბერს ქალაქ ტყიბულში დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველობამ მინი-ფეხბურთში სტარტი ივლისში აიღო და ტურნირში მხარის თორმეტივე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის გუნდები იღებდნენ მონაწილეობას.

ოთხ-ოთხი გუნდი სამ ჯგუფად იყო განაწილებული. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, ნახევარფინალში დაამარცხა ჭიათურის ძლიერი გუნდი და ფინალში ბაღდათის ადგილობრივი თვითმმართველობის გუნდს დაუპირისპირდა.

აღსანიშნავია, რომ ბაღდათის გუნდი ტურნირის განმავლობაში მოგების სერიით გამოირჩეოდა. ნახევარფინალამდე

ჩატარებულ ყველა შეხვედრაზე გაიმარჯვა და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

მიუხედავად შემადგენლობაში მოთამაშეების დანაკლისისა, გუნდს ტრავმების გამო წამყვანი ფეხბურთელები, დავით ბახტაძე და ოთარ ფხაკაძე, აკლდნენ, სამტრედიის გუნდმა ფინალში მეტოქეს დაძაბულ ორთაბრძოლებში მაქრამდენჯერმე მიეცა შესაძლებლობა, მეტოქის კარი აეღო, მაგრამ იმ დღეს ფორტუნა ბაღდათელების მხარეს აღმოჩნდა.

სიმალურად გაუწია წინააღმდეგობა.

თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, სამტრედიის გუნდს

შეხვედრა ბაღდათელების გამარჯვებით დასრულდა. 2:0 _ გუნდმა იმერეთის რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ დაწესებული გარდამავალი თასი აიღო.

ზვიად შალამბერიძემ გამარჯვებულ ბაღდათის გუნდს იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის თასი საზეიმო ვითარებაში გადასცა. ფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა. 12 მუნიციპალიტეტის მერიდან ვალერიანე ფოცხვერია ერთადერთი მერი იყო, რომელიც ტურნირში ჩაერთო და ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა კეთილი ნება გამოიჩინა და მისთვის განკუთვნილი პრიზი იქვე გადასცა მოწინააღმდეგე გუნდის 10 ნომერს, ტურნირის ბომბარდირს, ლაშა რობაქიძეს.

სამტრედიის გრან-პრი _ 2019

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ააიპ საცხენოსნო კლუბ "სამტრედიის" ორგანიზებით მიმდინარე წლის 26, 27 და 28 აგვისტოს ტრადიციული შეჯიბრი გაიმართა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში: ცხენბურთი, ისინდი, მარულა და დოღი სხვადასხვა დისტანციაზე სახელწოდებით "სამტრედიის გრან-პრი _ 2019". ტრადიციულ შეჯიბრში მონაწილეობდნენ სამეგრელოს, გურიის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს საცხენოსნო კლუბები.

გუნდური პირველობა არავის დაუთმო სამტრედიის საცხენოსნო კლუბმა, ხოლო მარულა 3-კილომეტრიანი დისტანციით მოიგო ახმეტის საცხენოსნო კლუბმა.

წარმატებით იასპარეზეს სამტრედიელმა ჟოკეიმ ვარდენ კიკაჩეიშვილმა და ზუგდიდის წარმომადგენლებმა, ძმებმა საბა და მათე ეხვაიებმა. ახმეტიდან ცნობილი ცხენების, ცარიცინისა და ალბატროსის, მხედრებმა: ბაჩანა სიმონიამ (ცხენი ცარიცინი) და ხვთისო აბდუშელაშვილმა (ცხენი ალბატროსი) სხვადასხვა დისტანციაზე აჭენეს ცხენები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, დავით ბახტაძემ და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები გადასცეს გრან-პრის მფლობელ სამტრედიის გუნდსა და შეჯიბრში გამარჯვებულ მხედრებს.

ნატალია მანჯგალაძე, მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი: "სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვის მზად არის, მხარი დაუჭიროს ისეთი ეროვნული სპორტის სახეობის განვითარებას, როგორიცაა ცხენოსნობა, შესაძლებლობის ფარგლებში მისცეს მოტივაცია სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ პირებს. რაც შეეხება "სამტრედიის გან-პრი 2019-ს", ეს შეჯიბრი ჩატარდა მაღალორგანიზებულად."

ფოტო ისტორიას ჰყვება

არაერთხელ გვითქვამს, რომ რაიონული გაზეთის რედაქციას ყოველთვის მხარში ედგა შტატგარეშე აქტივი, ისინი სხვადასხვა პროფესიისანი იყვნენ და, შესაბამისად, სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდნენ.

სურათზე, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, **ბატონ რომან ბექაიას** მიერ 1980 წლის მაისშია გადაღებული, აღბეჭდილნი არიან გაზეთ "წინსვლის" შტატგარეშე კორესპონდენტები. (მარცხნიდან მარჯვნივ) პირველ რიგში _ რკინიგზის №13 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი **დალი ღამბაშიძე**, მელაურის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე **ეთერ ქუთათელაძე**, სამტრედიის სამუსიკო სკოლის დირექტორი **ოთარ შანიძე**, რაიონის პროკურორი **დალი იმნაიშვილი** (სამართლისა და მორალის შტატგარეშე განყოფილების გამგე), რკინიგზის განყოფილების უფროსი ინჟინერი **მიხეილ ბულკათი**, სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსი **ალექსანდრე ჩიქოვანი**; მეორე რიგში _ რკინიგზის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე **გენო გეგეშიძე**, ბაშის კულტურის სახლის დირექტორი **სამსონ კაშმაძე**, სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე **ჯონი ვაშაკიძე**, სახბანკის სამტრედიის განყოფილების მმართველი **შალვა ტყებუჩავა** (ეკონომიკის შტატგარეშე განყოფილების გამგე), შრომითი რესურსების სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებული **იასონ ხუჭუა**; მესამე რიგში _ სალოკომოტივო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანი **კარლო მეგენეიშვილი**, აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი **ვლადიმერ გოდუაძე**, პარტიის სამტრედიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე **სულიკო ნინუა**, საქკვებრემმშენის №2 საწარმოო კომბინატის პარტბიუროს მდივანი **გიორგი გოგმეჩაძე** (სამხედრო-პატრიოტული აღზრდის შტატგარეშე განყოფილების გამგე), რკინიგზის განყოფილების უფროსი ინჟინერი **რევაზ შამათავა**.

ფოტო ბატონმა რევაზ შამათავამ მოგვაწოდა.

ლევან გაბეჩავა

კვება ძვლების ტკივილის დროს

ძვალი, როგორც ორგანო, მეტად მრავალფეროვან და სასიცოცხლოდ აუცილებელ ფუნქციებს ასრულებს: ცოცხალი ძვლის 50 % წყალია, 15, 7% _ ცხიმი, 12,5% _ ცილოვანი ნივთიერება, 21,8% _ მინერალური (უმეტესად კალციუმის) მარილები, რომელთაც ორგანიზმი საჭიროებისამებრ მოიხმარს.

ძვლების დაზიანებას, უპირველესად, განაპირობებს კალციუმით ღარიბი საკვები დ ვიტამინის დეფიციტი, ა ვიტამინის სიჭარბე, ყავისა და კოფეინის შემცველი სხვა სასმელების, სუფრის მარილის ჭარბი მოხმარება.

ძვლების დაზიანების რისკს ზრდის ალკოჰოლის ჭარბი მიღება, თამბაქო (აქ იგულისხმება არა მარტო აქტიური, არამედ პასიური მწეველობაც), ცხოვრების უმოძრაო წესი. ძვლების ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას. კალციუმის ცვლის დარღვევას სერიოზული პრობლემები ახლავს თან. მისი თავიდან აცილება ჯანსაღი, ბალანსირებული კვებითაც შეიძლება.

კალციუმის ოპტიმალური სადღეღამისო ოდენობაა 1000-1500 მგ. ეს ელემენტი უხვად არის რძეში, ყველში, იოგურტში, მწვანე ბოსტნეულში, ორაგულში, სოიაში. კალციუმთან ერთად აუცილებელია ფოსფორის მიღებაც. ფოსფორით მდიდარია თევზი. დ ვიტამინი არეგულირებს ძვლებში კალციუმის ცვლას და საკვებიდან ამ ელემენტის ათვისებაში მონაწილეობს. დ ვიტამინი მოიპოვება კვერცხის გულში, ღვიძლში, ორაგულში, ქაშაყი. მისი სადღეღამისო ნორმაა 400-800 ერთეული.

დ ვიტამინის ნაკლებობა იწვევს რაქიტს, ფოსფორისა და კალციუმის ცვლის დარღვევას. დ ვიტამინი სტეროიდული ჰორმონია. ის ორი მოლეკულური ფორმით გვხვდება: დ2 და დ3. დ3 ვიტამინი ორგანიზმში ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით გამომუშავდება. ის შედის საკვების, უმთავრესად _ თევზის ქონისა და კვერცხის ცილის შემადგენლობაში. რძე და რძის ნაწარმი, ჩვეულებრივ, დ ვიტამინის ორივე ფორმას შეიცავს. მეძუძური დედა უნდა იკვებებოდეს ცილებითა და ვიტამინებით მდიდარი კალორიული სურსათით. ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვები უნდა იღებდნენ ადაპტირებულ (დედის რძის შემადგენლობასთან მიახლოებულ, ვიტამინებით მდიდარ) ნარევებს ან მაწონს. მეძუძური დედებისა და 1 წელს გადაცილებული ბავშვებისთვის იდეალურია შემდეგი საკვები:

- რძე;
- ხაჭო;
- ყველი;
- კვერცხი;
- საქონლისა და ქათმის ხორცი;
- თევზი;
- ხილი (ვაშლი, ალუჩა, ალუბალი, კივი, ატამი, გარგარი), კენკრა;
- ბოსტნეული (კარტოფილი, კომბოსტო, გოგრა, სტაფილო, ჭარხალი), მწვანილი.

კალციუმი და დ ვიტამინი ძვლოვანი ქსოვილის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს. მათი ცალ-ცალკე მიღება უშედეგოა _ ორგანიზმი მათ ვერ შეიწოვს.

სიმაღლე ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთი მახასიათებელია. ის სხვა ფაქტორებთან ერთად კვებაზეც არის დამოკიდებული. დადგენილია, რომ რაციონალური კვებით სიმაღლის 10%-ით მომატებაა შესაძლებელი. რაციონალურია კვება, როდესაც ადამიანი სქესის, ასაკის, გადატანილი თუ არსებული დაავადებების შესაბამისად იკვებება. ეს, უპირველესად, ცილებით, ცხიმებით, ნახშირწყლებით, ვიტამინებითა და მინერალური მარილებით დაბალანსებულ რაციონს გულისხმობს.

ზრდის სტიმულაციისთვის სპეციალისტები წვნიან კერძებს, ხილსა და ბოსტნეულის ცოცხალ წვენს, რძესა და რძის ნაწარმს, ბურღულეულსა და მცენარეული უჯრედისით მდიდარ საკვებს გვირჩევენ. სტაფილო და ჭარხალი კი დღემდე რჩება ზრდის ხელშემწყობ საუკეთესო პროდუქტებად, ამიტომ რამდენიც გენებოთ, იმდენი მიირთვით, ოღონდ ნურც ა ვიტამინით მდიდარ სხვა პროდუქტებს დაივიწყებთ.

ნანა კალანდაძე

სამი ლექსი "ოჯახური ალბომიდან"

მამა

ჩემს მკლავზე იწვა გონდაკარგული,
თვალებზე ჟონვა იწყო ცრემლებმა,
ამოაყოლა ამ სიტყვებს სულიც:
არ იჩხუბოთო ოჯახში ძმებმა.
მერე ჩიტივით გაფრინდნენ წლები,
ვინ დათვლის თავს რა გადაგვხდენია,
ისე დავშორდით ერთმანეთს ძმები
ნაძრახი სიტყვა არ დაგვცდენია.
ეს თემა ლექსს არ ესადაგება,
მაგრამ ვხელდები, რომ მესმის ხმები:
ვერ იყოფენო მამის ქონებას
და ერთმანეთსო ურტყამენ ძმები.
ვინც უნდა იყოს, ამას ვთხოვ ყველას,
ჭირსა და ლხინში გვახსოვდეს ერთი:
ძმის დასარტყმელად მუშტშემართულ ძმას
აუცილებლად მოკითხავს ღმერთი.

ერთგულების ფასი

მეუღლის, ქუჩუნა ჩაჩუას, ხსოვნას

მე არაფერი არ მაკვირვებს, გარდა ერთისა,
რის გამო დღე-ღამ ობლად ყოფნა გამიხდა ძნელი,
შენ გარდა გული სხვას ვერავის ვერ შეეთვისა
და დავიწყება შენი გახდა შეუძლებელი.
ორივე დავრჩით წაგებული ამ ერთგულებით,
ორივე ერთად! გავლილი გზით, ნარეკლიანით,
მე _ მარტოსული! დონ კიხოტის გაბედულებით,
შენც! _ მუდამ ჩემი ჭირ-ვარამის თანაზიარი.
შენს მწარე ხვედრზე მე თუ კი აქ მტანჯავს ფიქრები,
შენ კი სიზმარში ცრემლით სახე გადაიბანე,
რატომ და რისთვის? არ მიკითხავს, ახლაღა ვხვდები:
დავაგვიანე, შენთან მოსვლა დავაგვიანე!
ეჰ, თურმე, თურმე! ერთგულებას მაშინ აქვს ფასი,
თუ შხამს არ გასმევს სიცოცხლეში გამოწვდილს თასით.

წარსულის გახსენება

ბალადა ჭრელ თავშალზე, ანუ წერილი დედას _ პაშა ლუკას ასულ ბერიას

მე ესენინის შემდეგ შენზე წერას ვერ ვბედავ,
არადა გული მოგონების ზღვა არის ვრცელი.
ო, რახანია საუბარი შენთან მსურს, დედა,
გთხოვთ, მაპატიოთ, თუ აქამდე ეს ვერ შეძელი.
ახლა ოცნებით სასაუბროდ შენთან რომ ვრჩები,
ჩემო ძვირფასო, თვალწინ მიდგას შენი სახება:
მამალი ყივის, ჯერ ადრეა შენ ფეხზე დგები,
შინ მარტოსული შეუდგები საქმის კეთებას.
თბილად იფუთნით ხსნით დაფარულ თავს ჭრელი შალით,
დიდი ხანია დაცვდა იგი, მაგრამ თბილია,
თბილია, რადგან იგი შენი საფიცარ ვაჟის
პირველ ხელფასზე ნაყიდი და მოტანილია.
მახსოვს, როცა ის მოგიტანე შენი თვალები
ცრემლით აივსო, მაგრამ მაინც არ გითქვამს რამე,
მაშინ ჩემს თავთან მე ასეთი კითხვით დავები:
დარდი გულისა აგიშალე თუ დაგიამე?
შენ საწოლ ოთახს მიაშურე ცრემლმორეულმა,
ჩემი თვალები შენს ნაბიჯებს ფეხდაფეხ სდევდა,
ცოტა ხნის შემდეგ მეც გამოგყვე არ მომცა გულმა,
გავკვირდი: საწოლ ჩამომჯდარი ტიროდი დედა.
საჩუქარი თუ გეცოტავა, გამანდე დარდი
ანდა თვალები ცრემლით მისთვის გაგიხდა სველი,
რომ შენი შვილის მომავალში დიდ კაცს ხედავდი
და მე გიმტყუნე _ გავხდი მხოლოდ მასწავლებელი?!
ჩემი ბავშვობის დროინდელი ოცნება გულის
ამ წმინდა საქმის სამსხვერპლოზე ჩამოვდე, დედა
და, ვით მინდიას, სულ სხვა ყოფის ჩამედგას სული,
სხვა ყურით მესმის გასაგონი, სხვა თვალით ვხედავ.
თავსაფრის ყურით შეიმშრალე თვალებზე ცრემლი
და საჩუქარი მუხლებიდან ბალიშზე დადე,
მერე კი ზურგზე გადამისვი მზრუნველი ხელი
და შენი გულის სატკივარი ასე გამანდე:
_ პედაგოგების ხელფასი ხომ ისე მცირეა,
გაიტანჯები ცოლ-შვილის და ოჯახის რჩენით,
თორემ რომელი შეედრება შენს პროფესიას,
მარტო ის რად ღირს კაცს ჰქვიოდეს მასწავლებელი.
მე ის მადარდებს: უფულობით რომ შეღონდები,
ბინძურ საქმეზე არ წაგიცდეს, შვილო, ხელები,
ცხოვრების წესით, სიტყვით, საქმით, პატიოსნებით
შენ უნდა იყო მაგალითი აღსაზრდელების.
შენს ფაქიზ გრძნობებს ასე მწარე ფიქრი რად ახლავს,
გვყოლია გვარში ვინმე გულის მუქად მხვეჭელი?
რა დამავიწყებს, თქვენ _ მშობლები _ იყავით ჩემთვის
მართალი შრომით თავის რჩენის მასწავლებლები.
ჰოდა, მადლობა ყველაფრისთვის! სწორ გზაზე ვდგავარ!
მაწუხებს მხოლოდ შენგან ასე შორს ყოფნის სევდა,
ჩემზე ნუ დარდობ, მე სიკეთის მთესველად მზად ვარ!
სხვას არას გეტყვი, ჭაღარა თმებს გიოცნი, დედა.

ლექსი დაწერილია 1957 წელს, შუახევის რაიონის სოფელ მაწყვალთაში, სადაც 19 წელი ვეწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას.

კორნელი ჩიხლაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

კაკალა

ასე ეძახდნენ ბავშვობიდან ლამარა ოდიშარიას, რომელიც მიხეილ ოდიშარიას მრავალსულიან ოჯახში დაიბადა. ყველაზე ნაბოლარა, ვაჟის მოლოდინში, ექვსი ქალიშვილის შემდეგ მოევლინა ოჯახს.

ის საოცრად მოძრავი, კომუნიკაბელური, მოსიყვარულე და ერთგული ადამიანი გახლდათ. ოდიშარიები ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის 24-ე საშუალო სკოლასთან ახლოს ცხოვრობდნენ. რკინიგზელის ოჯახი შვიდი მოსწავლე გოგონას მეგობრების თავშეყრის ცენტრი გახდა. ისინი გამოირჩეოდნენ მუსიკალური ნიჭით და როგორც მეზობლები იგონებენ, ამ სახლიდან ხშირად გაიგონებდით ლამაზად შესრულებულ პოლიფონიურ სიმღერებს. კაკალა და მისი დები გაერთიანებულნი იყვნენ სასკოლო, მასწავლებელთა და კულტურის სახლთან არსებულ სიმღერის რაიონულ ანსამბლებში. იყო დრო, როცა გვემღერებოდა და ვმღეროდით, გულწრფელად ვმეგობრობდით.

ცხოვრებამ კალეიდოსკოპური სიჩქარით გაირბინა. იგი დაქორწინდა პატიოსნებითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეულ ინჟინერზე, დემურ ქუთათელაძეზე. ორი შვილის დედა გახდა. შვილიშვილსაც მოესწრო, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიკვდილი გზაში დაეწია და შვილები, მეგობრები, ახლობლები ძალზე დაამწუხრა, მისი გულის ნაწილი მიშიკოც მოულოდნელად გაეცალა ამ წუთისოფელს და ახალშექმნილ ოჯახს, მწუხარების ნისლმა მთელი სისწრაფით გადაუარა ქალაქს. ოჯახის ფუძე ერთი წუთითაც არ მიუტოვებია მის უსაყვარლეს ქალიშვილს, მაკას, და მეუღლესთან ერთად ესათუთებოდა ღირსეული მშობლებისა და სულმაღალი ძმის ნაკვალევს.

ჩემი თაობის საუკეთესო მეგობარი კაკალა ოდიშარია 5 სექტემბერს 80 წლის გახდებოდა. ის ჩვენს მეხსიერებაში კვლავაც თავისი ღირსებებით, პედაგოგიური ღვაწლითა და ადამიანთა სიყვარულის ნიჭით არაერთხელ შეგვახსენებს თავს.

ნათელა გელეიშვილი

მზესუმზირას ჰალვა სასარგებლო ჩარეზი

ჰალვა, საზოგადოდ, აღმოსავლური ნუგბარის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ნიგვზისა და სხვადასხვა თესლისაგან მზადდება, მაგალითად, მზესუმზირას, მიწის თხილის (იმავე არაქისის) და სხვა. მას ცხიმოვანი შრეობრივი სტრუქტურა და სხვადასხვა სისქის გრძელი ბოჭკოები აქვს.

მზესუმზირას ჰალვა მწიფე მზესუმზირას თესლების არომატითა და გემოთი გამოირჩევა. განსაკუთრებით ფართოდ არის ის გავრცელებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ყირიმსა და კავკასიაში.

მზესუმზირას ჰალვა მდიდარია ცილებით, ცხიმებითა და ნახშირწყლებით. მისი კალორიულობა 100 გრამ პროდუქტზე 523 კილოკალორიაა. აღნიშნული სახის ჰალვა შეიცავს მზესუმზირას თესლებს, შაქარსა და ქაფის წარმომადგენელს. მდიდარია ისეთი ბოჭკოებით, რომლებიც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს საჭმლის მომნელებელ ტრაქტზე. პროდუქტში წარმოდგენილი ბ ჯგუფის პრაქტიკულად ყველა ვიტამინი, რომლებიც ნერვული სისტემის ფუნქციების, კანისა და ფრჩხილების ჯანმრთელობისათვის არის უმნიშვნელოვანესი.

ჰალვაში ასევე უხვადაა:

- ვიტამინი, რომელიც სისხლში ქოლესტერინის დონეს აქვეითებს;
- მინერალური ნივთიერებები, როგორებიცაა კალიუმი, მაგნიუმი, ფოსფორი და ნატრიუმი, რომლებიც აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა საპროფილაქტიკოდ და იმუნიტეტის გასაძლიერებლად;
- მცენარეული ცხიმები, რომლებიც პოლიუჯერ ცხიმოვან მჟავებს შეიცავს და სასარგებლოა კანისა და მისი დანამატების (ფრჩხილები, თმა) სიჯანსაღისთვის.

საყურადღებოა, რომ მზესუმზირას ჰალვა შეიცავს ბევრ შაქარს, მარტივ ნახშირწყლებს, რომელთა დაწვაც (გახარჯვაც) აუცილებელია და რასაც მარტივად ახერხებენ გონებრივი თუ ფიზიკური დატვირთვის მქონენი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭარბი წონის დაგროვება გარდაუვალია.

ჰალვა ალერგიული პროდუქტიცაა, ამიტომაც ალერგიულმა პირებმა ის სიფრთხილითა და მცირე ულუფებით უნდა მიირთვან. ჰალვის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო დღეღამური დოზა 20-30 გრამია.

რეზერ შევარჩიოთ და შევინახოთ ჰალვა

სადღეისოდ მწარმოებლები მზესუმზირას ჰალვას ნატურალური სახითა და სხვა დანამატით გვთავაზობენ. დანამატებად ჰალვაში ხშირად არის ვანილი, შოკოლადი, თხილი, ჩამიჩი (იგივე ქიშმიში, ყურძნის ჩირი). ნებისმიერი სახის ჰალვა ახალი უნდა იყოს, ამისათვის სასურველია მისი შეძენა ქარხნული ვაკუუმშეფუთვით, რომელსაც შესაბამისი ვადები ექნება მითითებული. გახსნილი ჰალვა გადაიტანეთ მინის ჭურჭელში, რომელსაც ჰერმეტული სახურავი ექნება და მოათავსეთ მაცივარში. მომწარო სუნის გაჩენისთანავე ჰალვა გადაგდეთ, ის საკვებად უვარგისია.

გახსოვდეთ, მზესუმზირას ჰალვა დამოუკიდებელი ჩარეზია, თაობათა საყვარელი ნუგბარი, მეტად სასარგებლო პროდუქტი, თუმცა _ ზომიერად!

თინათინ გოცაძე
www.mkurnali.ge



აკაკი და მერაბ თევზაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დის შვილიშვილის

ნინო ჭავჭავაძე-გუჯაბიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნის" რედაქცია თანაუგრძნობს პოეტ აკაკი თევზაძეს დის შვილიშვილის

ნინო ჭავჭავაძე-გუჯაბიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნის" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი, ქალბატონი

რუსუდან შენგელია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ნათელა გელეიშვილი, სოფიო და ირინე ტერელაძეები მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეზობლის, აღიარებული სტომატოლოგის, ღირსეული მეუღლის, დედისა და ბებიის, ქალბატონი

რუსუდან შენგელიას

გარდაცვალების გამო.



მაყვალა და გურანდა გურგენიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქალბატონი

ლილი ლორიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

ლევან გაბეჩავა და მურად გელეიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი პიროვნება, ბატონი

ზურაბ კახაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ვეტერანი ფეხბურთელები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა 70-იანი წლების სამტრედიის "ლოკომოტივის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი

რაჟდენ (რაჟია) კაპანაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული გვარდიის სამტრედიის ბატალიონის ვეტერანები მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აქტიური მებრძოლის, ბატალიონის წევრის

რაჟდენ კაპანაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რომან მხეიძე ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს

რაჟდენ კაპანაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

თალიკო ქართველიშვილის
გახსენება

დედა, ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ძნელი ყოფილა დედის გარეშე ცხოვრება. ძალიან გვენატრები, ჩვენო თბილო, ტკბილო და ღვაწლმოსილო დედა. მადლობა იმ განვლილი ლამაზი ცხოვრებისთვის, რომლითაც საზოგადოებისა და ახლობლების დიდი გულისტკივილი, გულწრფელი ცრემლი და თბილი მოგონებები დაიმსახურე.

მადლობა, დედა, ყველაფრისთვის. ვამაყობთ შენით. შენს ხსოვნას სათუთად შევინახავთ, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სპეტაკ სულს.

შვილები _ გია და ფისო ცხვირაკაშვილები

ვულოცავთ!

ნათია ნაცვლიშვილს!

მეორე ათეული წელი დაიწყო, რაც ნათია ნაცვლიშვილი ჩვენი გაზეთის რედაქციის ღირსეული წევრია.

მარად მოუცლელია, ფუტკარივით დაუზარელი, საოცრად პროდუქტიული ჩვენი კოლეგა, რომელმაც ამ დღეებში კიდევ ერთი წარმატებით გაგვახარა.

ოჯახის კეთილდღეობას, ულევ სიხარულს, პროფესიულ წარმატებებს უსურვებს მის დაუღალავ ავტორს ლამის 90 წლის **"სამტრედიის მაცნე".**

ბატონ თენგიზ გალდავას!

სამტრედიის სახელოვანი ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს, ჩვენი ქალაქის კოლორიტს, ბრწყინვალე ოჯახის თავკაცს პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს! ხანგრძლივ სიცოცხლესა და ბედნიერ დღეთა სიმრავლეს ვუსურვებთ.

უფალმა გაგაძლიეროთ, ბატონო თენგიზ!

საზეიმოდ ილოცა "სამტრედიელი"

ქალბატონ დალი გეგუჩაძე-ბიბილეიშვილს

ქალბატონო დალი, კარგო მეგობარო, საუკეთესო შვილების აღმზრდელო დედავ, საოცრად ტკბილო და თბილო ბებო, ჩვენო დადულიკო, საუკეთესო მეზობელო, გილოცავთ 80 წლის იუბილეს. დიდი სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით თქვენი უახლოესები.

ლეზდა, ნინა, გულიკო

ქალბატონ მერი ჩხენკელს!

ჩვენი სამეზობლოს პირველი თაობის წარმომადგენელს, მხნეს, დაუღალავსა და ყურადღებიანს, ადამიანს, რომელსაც სხვისი ბედი ანაღვლებს, ტკივილი აწუხებს და სიკეთე უხარია, დაბადების დღეს _ საიუბილეო თარიღის შესრულებას _ ვულოცავთ!

ვუსურვებთ გაუნელებელ ენერგიას, ხანგრძლივ სიცოცხლესა და შთამომავლების ბედნიერი ცხოვრებით მოგვრილ უსაზღვრო სიხარულს!

მეზობლები

დემეტრე კიკვაძეს!

10 წლისა შესრულდა დედიკოს კოლეგებისათვის ყოველთვის პატარა ბიჭი.

წელთა მატებას სიხარული, უფლის წყალობა და წარმატებები მოეტანოს შენთვის. სრულიად საქართველოს ეამაყოს შენი კარგი ქართველობით, კარგი კაცობით, ჩვენო დემეტრე.

"სამტრედიის მაცნე"

ანდრია წოწელიას!

მზის სადარ ბიჭს, ჩვენს ანდრიას ვულოცავთ დაბადების დღეს! საუკეთესო სურვილები და ახდენილი ოცნებები დაებედოს მის მზეგრძელ ცხოვრებას. ესახელებინოს ოჯახი, ქვეყანა და მასზე შეყვარებული

"სამტრედიის მაცნე".

უკომენტაროდ!

იყიდება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი ყველგანმავალი ეტლი კარგ მდგომარეობაში.

ტელ.: 555 39 72 99

ფასი შეთანხმებით

ვაცხადებთ ვაკანსიას კომპანია "ფაბერლიკში" ასისტენტის პოზიციაზე. აუცილებელია კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები. გამოგვეხმაურონ აქტიური, კომუნიკაბელური გოგონები.

მისამართი: სამტრედია, რუსთაველის ქუჩა 23/2

ტელ.: 577 42 55 52

წყლის ნაკადს შეუძლია, ლაზერის სხივები ჩაიჭიროს

როდესაც სინათლის სხივი წყლიდან, რომელიც არის მაღალი ოპტიკური სიმკვრივის მქონე გარემო, მოძრაობს ჰაერისკენ, რომელიც არის დაბალი ოპტიკური სიმკვრივის მქონე გარემო, ხოლო დაცემის კუთხე კი სცდება გარკვეულ ზღვარს, სინათლის სხივი სრულად აირეკლება და ის არ გადადის სხვა გარემოში. ამ მოვლენას სრული შიდა არეკვლა ეწოდება, ამ ეფექტს ჩვენ უბრალო წყლის ბოთლითა და ლაზერითაც შეგვიძლია დავაკვირდეთ.

საინტერესო ისაა, რომ იმავე პრინციპით მუშაობს ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენი (სადენი, რომლითაც ინტერნეტი ჩვენამდე აღწევს). როგორც ბოთლიდან გამოსული წყლის ნაკადი იჭერს ლაზერს, ასევე იჭერს ოპტიკური კაბელი სინათლის სხივებს და ატარებს მას საჭირო მიმართულებით, რაც, როგორც ჩანს, ძალიან გამოსადეგია, რადგან ჩვენ ამ სინათლის სხივებში შეგვიძლია დავშიფროთ და გადავცეთ ერთმანეთს ნებისმიერი ინფორმაცია. მაგალითად, ჩვენი საყვარელი სერიალის ეპიზოდი.

წყარო: Science Alert

www.on.ge

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა